



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების¹ შესახებ

ა (ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ირმა ხუციშვილი ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრ(ებ)ი:

ნატო ოგანეზოვი ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ხათუნა თოიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)

ეკატერინე ჟვანია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)

ნინო მოლაშხია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)

ნაია ენდელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)

ნანა ნოზაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)

ირმა ხუნდაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)

მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)

ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)

¹ **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

- ☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება
- ☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა
- ☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება
- ☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ გეგმიური

☐ არაგეგმიური

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	235449813

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	მარტვილი
ფაქტობრივი მისამართი	მარტვილი, სოფ. სალხინო
საფოსტო ინდექსი	3100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://salkhinosgimnazia.edupage.org
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	ssgimnazia@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	599070142

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	2024 წლის 18 ნოემბრის N MES 2 24 0001347213 ბრძანება
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	2024 წლის 30 და 31 ოქტომბერი

ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (ივსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

„**ზოგადი განათლების შესახებ**“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	მარტვილი, სოფელი სალხინო 1 შენობა-ნაგებობა
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	მარტვილი, სოფელი სალხინო 1 შენობა-ნაგებობა
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	მარტვილი, სოფელი სალხინო 1 შენობა-ნაგებობა

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 18 ოქტომბრის MES 2 24 0001347213 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა 2024 წლის 30 და 31 ოქტომბერს ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი.

ა(ა) იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ზემოაღნიშნული ბრძანების თანახმად ექსპერტთა ჯგუფს, დავალებული ჰქონდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესაბამისობის შეფასება, აღნიშნულიდან გამომდინარე გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა შესაბამისობის შეფასება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით. დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა როგორც ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე სკოლის მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს. ექსპერტებმა ადგილზე დაათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსიც. საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. დაწყებითი საფეხურის ექსპერტი ჩართული იყო გასაუბრების პროცესში, ესწრებოდა როგორც ქართულის, ისე მათემატიკის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის ინტერვიუების პროცესს, სვამდა დამაზუსტებელ კითხვებს დაწყებითი საფეხურის სპეციფიკიდან გამომდინარე. ვიზიტის შემდეგ დაწყებითი საფეხურის ექსპერტი მონაწილეობდა დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების რევიზიის პროცესში. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გამოავლინა სრული მზაობა მონიტორინგის პროცესთან დაკავშირებით. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს სკოლასთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, სკოლის მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერა ჰქონდა, რომ სამუშაო პროცესი წარმართულიყო საქმეზე ორიენტირებულ გარემოში.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
167	112

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში არაფორმალური განათლების მაღალი წილი, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესების შესაბამისი აქტივობები - საინტერესოს და მიმზიდველს ქმნის სასწავლო პროცესს. სკოლაში არსებული ორგანიზაციული კულტურა თანამშრომლობითია - პროცესები შეჯერებული, გაზიარებული და სკოლის საჭიროებებზეა მორგებული. სკოლაში აშკარად იგრძნობა გუნდური მუშაობის კვალი.

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლას გაეგზავნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის პროექტი, რომლის გაცნობის შემდეგ სკოლამ გამოხატა თანხმობა დასკვნის პროექტში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ასევე, ცნობად მივიღეთ, რომ სკოლა ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს და ითვალისწინებს შემდგომ მუშაობაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში ხარვეზებთან დაკავშირებით, ინდიკატორების მიხედვით სკოლამ გაწერა შესაბამისობის ტიპი (მეტწილი), უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები და სხვა. სკოლამ ასევე წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულებები. თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმისა და მტკიცებულებების გაცნობის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფი ნაწილობრივ იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას. კერძოდ, ინდიკატორები მესამე სტანდარტთან მიმართებით - 3.1.1.1; 3.1.1.2; 3.6.1.2; 3.6.2.2; 3.7.1.1 და 3.7.1.2; მეოთხე სტანდარტთან მიმართებით - ინდიკატორი 4.1.1.3 და მეორე სტანდარტთან მიმართებით, ინდიკატორები - 2.1.2.1; 2.1.2.4; 2.2.1.3; 2.2.2.2 რომლებიც სკოლას შეფასებული აქვს როგორც „მეტწილი“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც „შესაბამისი“, ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, ჩამოთვლილ ინდიკატორებთან მიმართებით, სკოლამ წარმოადგინა ხარვეზების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ასევე, ინდიკატორები მესამე სტანდარტთან მიმართებით - 3.4.1.1; 3.4.1.3; 3.4.1.8; 3.6.3.1 და 3.6.3.5, რომლებიც სკოლას შეფასებული აქვს როგორც „მეტწილი“, ექსპერტთა ჯგუფის მიერაც შეფასდა როგორც „მეტწილი“, ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, ჩამოთვლილ ინდიკატორებთან მიმართებით აქტივობების უზრუნველყოფის ვადები გაწერილია 28.02.2025-დან 16.12.2025-მდე. რაც შეეხება დანარჩენ ინდიკატორებს მესამე და მეოთხე სტანდარტთან მიმართებაში, რომლებიც დასკვნის პროექტის შემუშავებისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება“, სკოლას შესაბამისობის გეგმით შეფასებული აქვს როგორც „მეტწილი“ და შესაბამისი აქტივობების შესრულების ვადად მითითებული აქვს 02.12.2024. სკოლამ წარმოადგინა გარკვეული დოკუმენტები აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის დასადასტურებლად, თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა პოზიცია სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ და აღნიშნული ინდიკატორები კვლავ შეფასდა როგორც სტანდარტის მოთხოვნებთან შეუსაბამო.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 აღამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი NI	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ბარგეზი
3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;	სკოლის შინაგანაწესი არ შეესაბამება შრომის კოდექსს და მოქმედ კანონმდებლობას. (იხ. ინდიკატორის აღწერა)
3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;	სკოლას არ აქვს წარმოდგენილი ყველა თანამშრომლის, მათ შორის რექტორისა და ფინანსურ მენეჯერის პირადი საქმეები. შესაბამისად, ვერ დგინდება სკოლის მიერ პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვა და დასაქმების უზრუნველყოფა.
3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;	სკოლას არ აქვს წარმოდგენილი ყველა თანამშრომლის, მათ შორის რექტორისა და ფინანსურ მენეჯერის პირადი საქმეები. შესაბამისად, ვერ დგინდება პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასა და სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.
3.2.1.2	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;	სკოლას არ აქვს შემუშავებული პერსონალის საჭიროებებზე დაფუძნებული განვითარების გეგმა.
3.3.1.3	სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;	სკოლის მიერ შემუშავებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის წესით არ არის განსაზღვრული სკოლაში განცხადების წარდგენის და განხილვის წესი და ვადები. ასევე, საჩივრის წარდგენის

		შემთხვევაში არ არის გაწერილი დეტალური პროცედურა, როგორ ხდება საჩივრის განმხილველი პირის/სტრუქტურული ერთეულის განსაზღვრა.
3.3.1.4	სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.	თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულება არ არის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, არ შეიცავს შრომის კოდექსით დადგენილ, ხელშეკრულების სავალდებულო პირობებს.
3.6.2.1	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;	სკოლის საქმისწარმოების წესი არ არის შესაბამისობაში სკოლაში არსებულ პროცესებთან. (იხ. ინდიკატორის აღწერა)
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
4.1.1.1	სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;	სკოლის შინაგანაწესში არსებული ჩანაწერი, მოსწავლის მშობლების გაკვეთილებზე დასწრებასთან დაკავშირებით არღვევს კლასში სხვა მოსწავლეთა უფლებებს.
4.1.2.1	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;	მოსწავლეთა ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების, საფეხურის დამლევის მარეგულირებელი წესი არ ითვალისწინებს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების/აღიარებაზე უარის თქმის საფუძველზე მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის დეტალურ პროცედურას, სტატუსის შეჩერების კანონით დადგენილ საფუძვლებსა და ასევე, დოკუმენტით განსაზღვრული საფუძვლები არ არის შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
	დაწყებითი საფეხური	

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)²

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართ უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ-ს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფო მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში შემთხვევაში);	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა მოიპოვოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (28.02.2025)

² გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

3.4.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივ წესრიგის დაცვას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივ წესრიგის დაცვის წესი შეათანხმოს სამინისტროსთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (04.11.2025)
3.4.1.8	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნულ მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასება და შეფასების შედეგების საფუძველზე აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესება განახორციელოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. (04.11.2025)
3.6.3.1	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირება ვებ. გვერდის საშუალებით შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. (16.12.2025)
3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ვებ. გვერდზე ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო ინფორმაციისა და დოკუმენტების განთავსება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (16.12.2025)
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N1.2.2.3	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;	სკოლას მიეცა რჩევა, სკოლის ვებგვერდზე განათავსოს სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
3..3.2.1	სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;	სკოლას მიეცა რჩევა, საზოგადოებასთან ურთიერთობის წესში გაიწეროს მშობლებთან კომინიკაციის ფორმა და საშუალებები.
3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება.
3.4.1.5	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმების დაცვას;	უზრუნველყოს სასმელი წყლის პერიოდული შემოწმება სასმელად ვარგისიანობაზე.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა

4..2.1.6	მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.	სკოლამ მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების კვლევის პროცესი გახადოს სტრუქტურირებული - შეიმუშავოს კითხვარები ან/და უკუკავშირის სხვა საშუალებები, რომლებიც პროცესებს უფრო ეფექტურს გახდის.
4.2.2.2	სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;	კლასის დამრიგებლებმა სადამრიგებლო პროგრამაში გაწერონ კლასის საათები და დაგეგმონ მეტი აქტივობები, შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	რჩევა
	დაწყებითი საფეხური	
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	ბუნებისმეტყველება - დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველებაში სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები გაწერილია სავალდებულო თემებით და შესაბამისი შუალედური სასწავლო მიზნებით, რომლებიც საჭიროებს მცირეოდენ დახვეწას. კერძოდ: თითოეულ თემაში შეძლებისდაგვარად დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. საზოგადოებრივი მეცნიერებები - თითოეული თემის ფარგლებში სრულად უნდა დამუშავდეს საგნობრივი სტანდარტის ყველა შედეგი, რომლებიც დაკავშირებულია სამიზნე ცნებებს. აქედან გამომდინარე, საგან „მე და საზოგადოების“ მე-3 კლასის კურიკულუმში თემა: „ჩემი ოჯახი“ დამუშავდეს სამიზნე ცნება პიროვნება“, თემა: „სკოლა, მეგობრები და თანატოლები“ -

		პიროვნება და ცვლილება, თემა: „გარემო, რომელშიც ვცხოვრობ“ - ინსტიტუცია და ცვლილება; ჩვენი საქართველოს კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტებში თითოეული თემის ფარგლებში სრულად დაიფაროს სამიზნე ცნებები შესაბამისი საკითხების ჩაშლით; დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში თითოეულ თემას განესაზღვროს საათების რაოდენობა. ფიზიკური აღზრდა - პედაგოგმა სამომავლოდ შეუძლია სკოლაში არსებული რესურსიდან გამომდინარე გაშალოს სხვადასხვა თემებიც რომელიც გამრავალფენოვნებს სასწავლო პროცესს სამომავლოდ.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	ბუნებისმეტყველება-- დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველებაში სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები გაწერილია სავალდებულო თემებით და შესაბამისი შუალედური სასწავლო მიზნებით, რომლებიც საჭიროებს მცირეოდენ დახვეწას. კერძოდ: თითოეულ თემაში შეძლებისდაგვარად დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. ბუნებისმეტყველება - მასწავლებლებთან საუბრისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ ბუნებისმეტყველების პედაგოგებს შუალედური სასწავლო მიზნებით მუშაობის მწირი გამოცდილება აქვთ. ამ მხრივ სკოლა საჭიროებს მეტ პრაქტიკულ მუშაობას. საზოგადოებრივი მეცნიერებები -ჩვენი საქართველოს კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტებში თითოეული თემის ფარგლებში სრულად დაიფაროს სამიზნე ცნებები შესაბამისი საკითხების ჩაშლით; ფიზიკური აღზრდა - პედაგოგს სამომავლოდ შეუძლია სკოლაში არსებული რესურსიდან გამომდინარე გაშალოს სხვადასხვა თემებიც, რომელიც გაამრავალფენოვნებს სასწავლო პროცესს .

ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	ბუნებისმეტყველება - სასურველია შემაჯამებელი ან/და სადიაგნოსტიკო დავალებების პირობების შექმნისას, აგრეთვე შუალედური სასწავლო მიზნის ფორმატის კომპლექსურ დავალების/კომპლექსური ბუნების დავალების, ან სასწავლო პროექტების შეთავაზების დროს, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან ინკლუზიური მიდგომები.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ბუნებისმეტყველება -სასურველია შეფასების სისტემის უფრო დახვეწა. (მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შემოტანა). ასევე როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გაკეთდეს თითოეული თემის ფარგლებში და მიმართული იყოს სამიზნე ცნებების გააზრება/დამუშავებაზე. საზოგადოებრივი მეცნიერებები - განმავითარებელი შეფასების წარმოებისას, სამიზნე ცოდნის შეფასების დროს, სასურველია შეფასების რუბრიკას ახლდეს გრაფა აღწერილობისა და კომენტარისთვის. ფიზიკური აღზრდა - სასურველია, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შეიმუშაონ კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	ბუნებისმეტყველება - დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველებაში სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა 1-6 კლასების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ასევე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალების ანალიზის რუბრიკა, სასურველი იქნებოდა განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტები იყოს უფრო მეტად დაწვრილებით გაწერილი.
ინდიკატორი N2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	ესთეტიკა - მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის შედგენა/განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, სასურველია დაწყებით საფეხურზე ნაცვლად დაწყებითების მასწავლებელისა სახვით და გამოყენებით

		ხელოვნების მასწავლებლად ჰყავდეს საგნობრივი კომპეტენციის დადასტურებული მასწავლებელი.
	საბაზო საფეხური	
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საზოგადოებრივი მეცნიერებები - საბაზო საფეხურის მოქალაქეობის კურიკულუმებში გამოიკვეთოს შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი ტიპის დავალებებით, შესაბამისი კონტექსტ და შედარების მაგალითებით. სასურველია, კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ლაკონურად, მაგრამ ნათლად გამოიკვეთოს შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით რა პროდუქტს ქმნის მოსწავლე. მაგალითად: „საგაზეთო სტატია/ესე აქტიური მოქალაქეობის მნიშვნელობაზე“ და არა „ბუკლეთის შექმნა“ ან „პოსტერის შექმნა“; სპორტი - პედაგოგმა სამომავლოდ შეუძლია სკოლაში არსებული რესურსიდან გამომდინარე გაშალოს სხვადასხვა თემებიც რომელიც გამრავალფეროვნებს სასწავლო პროცესს.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საზოგადოებრივი მეცნიერებები - საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში თითოეულ თემას განესაზღვროს საათების რაოდენობა. საბაზო საფეხურის მოქალაქეობის კურიკულუმებში გამოიკვეთოს შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი ტიპის დავალებებით, შესაბამისი კონტექსტ და შედარების მაგალითებით. სასურველია, კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ლაკონურად, მაგრამ ნათლად გამოიკვეთოს შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით რა პროდუქტს ქმნის მოსწავლე. მაგალითად: „საგაზეთო სტატია/ესე აქტიური მოქალაქეობის მნიშვნელობაზე“ და არა „ბუკლეთის შექმნა“ ან „პოსტერის შექმნა“; სპორტი - პედაგოგს სამომავლოდ შეუძლია სკოლაში არსებული რესურსიდან გამომდინარე გაშალოს სხვადასხვა თემებიც რომელიც გამრავალფეროვნებს სასწავლო პროცესს.
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო	საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აკმაყოფილებს მინიმალურ სტანდარტებს სასურველია საბუნებისმეტყველო საგნების

	რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	ლაბორატორიებში იყოს საშუალება ყველა მოსწავლისთვის ინდივიდუალური/ჯგუფური სამუშაოების ხელმისაწვდომობის. ასევე ლაბორატორია შეივსოს ახალი რეაქტივებით და სადემონსტრაციო ექსპერიმენტებისთვის საჭირო რესურსებით
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -სასურველია აქტივობები გაიწეროს იმგვარად, რომ მიმართული იყოს და უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევა. ასევე სასურველია, შემაჯამებელი ან/და სადიაგნოსტიკო დავალებების პირობების შექმნისას, აგრეთვე შუალედური სასწავლო მიზნის ფორმატის - კომპლექსურ დავალების/კომპლექსური ბუნების დავალების, ან სასწავლო პროექტების შეთავაზების დროს, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან ინკლუზიური მიდგომები.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასურველია შეფასების სისტემის უფრო დახვეწა, (მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შემოტანა), რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად აუცილებელია არამარტო განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების აქტიურად გამოყენება.ასევე მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებისაც. სამართლიანობისა და ობიექტურობის თვალსაზრისით მოსწავლეები შეაფასებენ ერთმანეთს და იმსჯელებენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე. მოსწავლეების ჩართულობა შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში გაზრდის სანდოობას და გამჭვირვალობის დასტური იქნება, როცა მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ გაეცნობიან დავალების შეფასების რუბრიკებს. საზოგადოებრივი მეცნიერებები - განმავითარებელი შეფასების წარმოებისას, სამიზნე ცოდნის შეფასების დროს, სასურველია შეფასების რუბრიკას ახლდეს გრაფა აღწერილობისა და კომენტარისთვის.

		სპორტი - სასურველია, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შეიმუშაონ კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნებში სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები გაწერილია სავალდებულო თემებით და შესაბამისი შუალედური სასწავლო მიზნებით, რომლებიც საჭიროებს მცირეოდენ დახვეწას(თითოეულ თემაში უნდა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება შეძლებისდაგვარად.). წარმოდგენილია ასევე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები,შემაჯამებელი დავალების ანალიზის რუბრიკა, თუმცა სასურველი იქნებოდა წარმოდგენილი ყოფილიყო განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები, რომლებიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენდა რამდენად შესაბამისობაშია სასწავლო პროცესი კურიკულუმთან.
	საშუალო საფეხური	
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საზოგადოებრივი მეცნიერებები - საგან „პროექტი სამოქალაქო განათლებაში“ მე-10, მე-11 და მე-12 კლასის შერჩეული პროექტებში ნათლად გაიწეროს: სამიზნე კლასი, პროექტის თემა, საკითხი, მიზანი, საგანთაშორის ინტეგრაცია, პროექტის შესაბამისობა სამიზნე ცნებებთან, პროექტის კავშირი დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებთან, რესურსები და აქტივობები პროექტის განსახორციელებლად და პროექტზე მუშაობის პერიოდი; მე-12 კლასის ისტორიის საგნობრივი კურიკულუმი, რომელიც განსაზღვრული იყო 2024-2025 სასწავლო წლისათვის ხმარებაში არსებული სასკოლო სახელმძღვანელოს მიხედვით, გადამუშავდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ისტორიის საგნობრივ სტანდარტში მოცემული სავალდებულო თემების შესაბამისად;

		სპორტი -პედაგოგს სამომავლოდ შეუძლია სკოლაში არსებული რესურსიდან გამომდინარე გაშალოს სხვადასხვა თემებიც რომელიც გამრავალფენოვნებს სასწავლო პროცესს.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საზოგადოებრივი მეცნიერებები - საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში თითოეულ თემას განესაზღვროს საათების რაოდენობა. სპორტი -პედაგოგს სამომავლოდ შეუძლია სკოლაში არსებული რესურსიდან გამომდინარე გაშალოს სხვადასხვა თემებიც რომელიც გამრავალფენოვნებს სასწავლო პროცესს.
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	სასურველია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია შეივსოს ახალი რეაქტივებით და სადემონსტრაციო ექსპერიმენტებისთვის საჭირო რესურსებით.
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	საბუნებისმეტყველო საგნები - სასურველია, შემაჯამებელი ან/და სადიაგნოსტიკო დავალებების პირობების შექმნისას, აგრეთვე შუალედური სასწავლო მიზნის ფორმატის აქტივობები გაიწეროს იმგვარად,რომ მიმართული იყოს და უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევა. ასევე - კომპლექსურ დავალების/კომპლექსური ბუნების დავალების, ან სასწავლო პროექტების შეთავაზების დროს, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან ინკლუზიური მიდგომები.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საბუნებისმეტყველო საგნები -სასურველია შეფასების სისტემის უფრო დახვეწა, (მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შემოტანა), რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. შეფასების სისტემის გაუმჯობესებისათვის სასურველია უფრო ხშირად გამოიყენოს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ასევე მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებისაც. სამართლიანობისა და ობიექტურობის თვალსაზრისით მოსწავლეები შეაფასებენ

		ერთმანეთს და იმსჯელებენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე. მოსწავლეების ჩართულობა შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში გაზრდის სანდოობას და გამჭვირვალობის დასტური იქნება როცა მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ გაეცნობიან დავალების შეფასების რუბრიკებს. საზოგადოებრივი მეცნიერებები - განმავითარებელი შეფასების წარმოებისას, სამიზნე ცოდნის შეფასების დროს, სასურველია შეფასების რუბრიკას ახლდეს გრაფა აღწერილობისა და კომენტარისთვის. სპორტი - სასურველია, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შეიმუშაონ კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	საშუალო საფეხურზე ბუნებისმეტყველებაში სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები გაწერილია სავალდებულო თემებით და შესაბამისი შუალედური სასწავლო მიზნებით, რომლებიც საჭიროებს მცირეოდენ დახვეწას (თითოეულ თემაში უნდა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება შეძლებისდაგვარად.). წარმოდგენილია ასევე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალების ანალიზის რუბრიკა, თუმცა სასურველი იქნებოდა წარმოდგენილი ყოფილიყო განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები, რომლებიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენდა რამდენად შესაბამისობაშია სასწავლო პროცესი კურიკულუმთან. მასწავლებლებთან საუბრისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, ბუნებისმეტყველების პედაგოგებს შუალედური სასწავლო მიზნებით მუშაობის მწირი გამოცდილება აქვთ. ამ მხრივ სკოლა საჭიროებს მეტ პრაქტიკულ მუშაობას.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე

წინა წარმოება განხორციელებული იყო 2022 წლის 20-22 დეკემბერს, შესაბამისად წარმოება წარმართული იყო ძველი სატანდარტის შესაბამისად და მიეცა 7 რეკომენდაცია:

- ინდ.1.4.** დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ ყველა პედაგოგმა, შეფასების სისტემა, მოიყვანოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემასთან და გამოიყენონ პრაქტიკაში.
აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია სკოლის მიერ.
- ინდ.1.6.** მიუხედავად იმისა რომ სკოლა ზრუნავს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებასა და გაუმჯობესებაზე, რეკომენდაცია მიეცა შეიმუშავოს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების ისეთი მექანიზმები, რომელიც უფრო დაეხმარება სწავლების ხარისხის შეფასების პროცესში და სადაც გათვალისწინებული იქნება შემდეგი ეტაპები: „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“.
აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია სკოლის მიერ.
- ინდ.2.1.დ.** დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ლაბორატორიაში დამონტაჟდეს სპეციალური კარადა ექსპერიმენტების ჩასატარებლად და ასევე აღიჭურვოს გამწოვით.
- ინდ.2.3.** სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ კიდევ ერთხელ გადახედოს ბიბლიოთეკის საკუთრებაში არსებულ წიგნებს და ის წიგნები, რომლებიც არ არის დამუშავებული წესის შესაბამისად, მოიყვანოს დადგენილ წესთან შესაბამისობაში.
- ინდ.2.6.დ.** დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ ისეთი დოკუმენტაცია, რომელიც საჭიროებს სხვადასხვა უწყებებთან შეთანხმებას, სკოლამ შეიმუშავოს ვალდებულების წარმოქმნიდან უმოკლეს ვადებში და დროულად შეათანხმოს შესაბამის უწყებებთან.
- ინდ.2.7.** სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ წესდება გაიწეროს ისე, რომ ნათლად გამოჩნდეს რექტორზე დელეგირებული უფლებები. კერძოდ სხვადასხვა ბრძანებების გამოცემის და კონკრეტული დოკუმენტების დამტკიცების უფლება, რადგან, დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით
- ინდ.3.4.** სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ ხელშეკრულების შინაარსი და მასში განსაზღვრული პუნქტები მოყვანილი იქნას შრომის კოდექსთან შესაბამისობაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

სკოლის მისია და ხედვა ჩამოყალიბებულია წერილობითი ფორმით და წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილს. სკოლის მისიაა: აღსაზრდელებს შესთავაზონ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი უსაფრთხო, პოზიტიური გარემო, ჯანსაღი სულიერი განვითარების შესაძლებლობები. ეროვნული, ქრისტიანული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს ეზიარონ, რაც მიიღწევა მაღალი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგიური მომსახურებითა და თანამშრომელთა პირადი მაგალითით, რათა სკოლის კურსდამთავრებულებმა მიღებული ცოდნა და აღზრდა გამოიყენონ წარმატებული ცხოვრებისა და საერთაშორისო ურთიერთობებში ქვეყნის ინტერესების საკეთილდღეოდ. მისიიდან გამომდინარე სკოლის ხედვაა ხარისხზე ორიენტირებული სკოლის შექმნა, სადაც ჩამოყალიბებული იქნება კარგად ორგანიზებული მწყობრი სისტემა, რომელშიც ჰარმონიულ ურთიერთობაში დამკვიდრდება ამ სისტემის ელემენტები: მისია, სტანდარტები, შეფასება, ანგარიშვალდებულება, შესაბამისობა, კულტურა, თანამშრომლობა და მუდმივი გაუმჯობესება. ყველა ამ კომპონენტის გაცნობიერება და ამოქმედება აუცილებელი პირობაა მოსწავლეთა მაღალი მიღწევებისათვის, მასწავლებელთა პროფესიული ზრდისა და სასწავლებლის სამომავლოდ განვითარებისათვის. სკოლის მისიიდან და ხედვიდან გამომდინარე, სასკოლო საზოგადოება თანხმდება ისეთ ღირებულებებზე, რომ სკოლის მიერ წარმართული საქმიანობა მიმართული იყოს მისიის რეალიზებასა და სტრატეგიული მიმართულებების ეფექტურ განხორციელებაზე. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორი 1.1.1.1 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია, კარგად შეისწავლოს საკუთარი, სასკოლო თემისა და ზოგადად სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები, ღირებულებები და გამოწვევები. სკოლის მიერ წარმოდგენილ შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში განსაზღვრულია როგორ გარემოში, როგორი ადამიანური და მატერიალური რესურსით შეძლებენ მისიით განსაზღვრული ღირებულებების მქონე პიროვნების აღზრდას.

ამასთან, სკოლა აცნობიერებს, რომ სწავლის პროცესი შეუძლებელია სასკოლო საზოგადოებრივი პრობლემებისგან ცალკე იდგეს და არ ემსახურებოდეს მათ გადაჭრას. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შექმნის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, რაც აძლიერებს მიკუთვნებულობის განცდას. სასკოლო პროექტებითა თუ არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობებით სკოლა წარმოადგენს სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლაში არის პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო (დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით), რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას.

ინდიკატორი 1.1.1.2 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

მისიის, ხედვის და ღირებულებების შედგენის, განხილვისა და გაზიარებისთვის სკოლამ აწარმოა სკოლის პედაგოგების, მოსწავლეების და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების გამოკითხვა. გასაუბრებისას მათ განაცხადეს, რომ სკოლის მიერ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც სასკოლო საზოგადოების გამოკითხვით დაადგინა ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც იქნა შემდგომში სკოლის ფილოსოფიის შექმნის დროს იქნა გათვალისწინებული. სკოლამ წარმოადგინა საერთო მშობელთა კრების ოქმი(N1 . 09.09 2024წ)სადაც მოხდა სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებზე მსჯელობა და გაზიარება სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლამ შეიმუშავა სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცედურები, რის მიხედვითაც განსაზღვრულია პროცესის შემუშავების ეტაპები. დოკუმენტის შესაბამისად სკოლამ სასკოლო საზოგადოების ჩართულობით ჩაატარა კვლევა, კვლევის ფარგლებში შეიქმნა კითხვარები როგორც მასწავლებლებისთვის, ასე მოსწავლეებისა და მშობლებისთვის, რომ სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის საფუძველზე დაედგინათ სკოლის სუსტი და ძლიერი მხარეები, განხორციელების რისკები და შესაძლებლობები, შესაბამისი აქტივობები , მიზნები და მისაღწევი შედეგები. ამის შემდეგ მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით

განისაზღვრა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან შესაბამისი მიმართულებები, რაზე დაყრდნობითაც სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შემუშავდა მისია, ხედვა, ღირებულებები და დამტკიცდა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე(ოქმიN1 10.09.2024წ) აღნიშნულის გათვალისწინებით,

ინდიკატორი 1.1.1.3 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლის მისია და ხედვა გაზიარებულია სკოლის ვებგვერდზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია მისიის, ხედვის , ღირებულებების გაზიარების მექანიზმები და სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის უკუკავშირის მიღების მიზნით რა აქტივობებს ახორციელებს სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომლის ნაწილია მისია, ხედვა, ღირებულებები . სასკოლო სასწავლო გეგმა გამოკრულია სკოლის შენობაში საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე. სკოლის წარმომადგენლები გასაუბრების დროს აცხადებდნენ, რომ ყოველდღიურ სასკოლო პრაქტიკაში აცოცხლებენ მისიაში გაცხადებულ მიმართულებებს. სასკოლო საზოგადოება თანხმდება , რომ თითოეულმა წევრმა უნდა იხელმძღვანელოს სკოლის მისიის და ხედვის განხორციელების მიზნით შემდეგი პრინციპებითა და მიდგომებით: პროფესიონალიზმი, საქმის სიყვარული, კეთილსინდისიერება, უკუკავშირის მექანიზმების გაძლიერება და ა. შ.

ინდიკატორი 1.1.1.4 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების საჯაროობას უზრუნველყოფს სკოლა, აღნიშნული ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც მტკიცდება სასწავლო წლის დასაწყისში. სასკოლო სასწავლო გეგმა თავის მხრივ საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებულ პირათათვის. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე და განთავსებულია სკოლის შენობაში საინფორმაციო დაფაზე, თვალსაჩინო ადგილას.

ინდიკატორი 1.1.1.5 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სკოლის სახელწოდება ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმ. ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ტერმინს.

ინდიკატორი 1.1.1.6 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კითხვარი სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მიზნით;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი #1 10/09.2024წ;
- მშობელთა კრების ოქმი N1 09/09/2024წ;
- სკოლის რექტორის ბრძანება N2-31. 29/07/2024წ
- სკოლის ვებ გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

სკოლამ წარმოადგინა სკოლის რექტორის ბრძანებით N2-32(27.08.2024წ) დამტკიცებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლა ყველა ეტაპზე რთავს დაინტერესებულ მხარეებს შემუშავების, ინფორმაციის შეგროვების, გაზიარების, უკუკავშირის მიღებისა და შეთანხმების პროცესში. ამავე მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა სტრატეგიული დაგეგმვისას იცავს შემდეგ ძირითად პრინციპებს: გუნდური მუშაობა, თანამონაწილეობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, მიზანშეწონილობა, სოციალური პასუხისმგებლობა, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს, რისთვისაც, სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების წევრებს და უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მათ ჩართულობას, ან/და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარებას. ამრიგად, სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.

ინდიკატორი 1.2.1.1 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სკოლამ წარმოადგინა სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული შვიდწლიანი (2024-2031წ) სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის რექტორის მიერ (ბრძანება N2-44 . 27.10 2024წ) ატვირთულია სკოლის ვებ გვერდზე. სკოლის სტრატეგიული გეგმა მოიცავს წლების შესაბამისად გაწერილ მიზნებს (სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავება, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; ადამიანური რესურსის განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის ღონისძიებების გატარება , უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; სასკოლო კურიკულუმების მონიტორინგი, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება; ორგანიზაციული განვითარება და სხვა) მიზნის შესაბამის ამოცანებს და კორელაციაშია სკოლის მისია, ხედვასა და ღირებულებებთან.

ინდიკატორი 1.2.1.2 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

3.სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი (2024-2025წ) სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული გეგმიდან (2024-2031წ). დამტკიცებულია სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ (სხდომის ოქმი N1. 10.09. 2024წ) მასში გათვალისწინებულია სტრატეგიული გეგმის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები. სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, რომელსაც სკოლის რექტორი წარუდგენს პედაგოგიურ საბჭოს. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესრულება ფასდება სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს პასუხისმგებელი პირების ანგარიშების საფუძველზე. სამოქმედო გეგმის შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. შეფასების შედეგებს სკოლა იყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს კონკრეტულ აქტივობებს, დასახული მიზნების მიღწევის ლოგიკური თანმიმდევრობას, ახდენს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს განხორციელების ვადებს.

ინდიკატორი 1.2.1.3 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სკოლის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში (2024-2025წ) განსაზღვრული არ იყო შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. ექსპერტთა რჩევით ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა(2024-2025წ), სადაც გაწერილია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები.

ინდიკატორი 1.2.1.4 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (ბრძ. 2-32. 27/08/2024წ);
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2024-2025წ);
- სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა (2024-2031წ)

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
- სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შემუშავება ხდება სკოლის რექტორის მიერ ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფისა და სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით, რომელშიც მუშავდება მონიტორინგისა

და შეფასების მექანიზმები. აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრულია დოკუმენტების განხილვის, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ძირითადი მოთხოვნები და მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხები. შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია. მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს. სასწავლო პროცესის მონიტორინგს სკოლა უნდა ახორციელებდეს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერთა ჯგუფისა და სკოლის პრორექტორის ანგარიშების საფუძველზე. თუმცა ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტაცია.

სკოლას მიეცა რჩევა: აწარმოონ მონიტორინგის განხორციელების ანგარიშები.

ინდიკატორი 1.2.2.1 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის ანალიზით და სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუებით დგინდება სკოლის მზაობა, მონიტორინგისა და შეფასების პროცესი იქცეს სასკოლო ცხოვრების განუყოფელ ნაწილად, რომელიც უზრუნველყოფს პროცესების ხარისხიან მიმდინარეობაზე ზედამხედველობასა და მხარდაჭერას. მეთოდოლოგიის შესაბამისად არ არის განსაზღვრული ვინ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერთა ჯგუფი, რომელიც სასწავლო ხარისხის მონიტორინგსა და შეფასებაზე მუშაობს. **სკოლას მიეცა რჩევა**, რომ სასურველია დაკომპლექტდეს და განისაზღვროს კონკრეტული სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების პროცესების ხარისხიან მიმდინარეობაზე ზედამხედველობასა და მხარდაჭერას.

ინდიკატორი 1.2.2.2 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების განხორციელების საჯაროობა. სკოლის არსებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები განხილულია და გაზიარებული პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე, სკოლა აცნობიერებს, რომ შედეგების გასაჯაროება მნიშვნელოვანია. 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე, ასევე სოციალურ სივრცეში სკოლის ფეისბუქ გვერდზე. რათა საზოგადოების წევრებისაგან (სასკოლო თემისგან) მიიღოს შესაბამისი უკუკავშირი. სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედეგები გამჭვირვალეა სასკოლო საზოგადოებისათვის. თუმცა, სასურველია ანგარიშები საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსებული იყოს სკოლის ვებგვერდზე.

სკოლას მიეცა რჩევა, სკოლის ვებგვერდზე განათავსოს სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები.

ინდიკატორი 1.2.2.3 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ფაზები ანალიზისა და შეფასებისათვის, რის შემდეგაც მიღებულ მიგნებებს/დასკვნებს სკოლა ითვალისწინებს მომავალი სასწავლო წლისათვის ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში. სკოლას მიეცა რჩევა, რომ სასურველია შემუშავებული ჰქონდეს ანალიზის ფორმა, რითაც წლიურ სამოქმედო გეგმის თითოეულ პუნქტს შეაფასებს და ანგარიშს წარუდგენს პედსაბჭოს.

ინდიკატორი 1.2.2.4 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

• სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (ბრძ. 2-32 27./08/2024წ);

- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2024-2025წ);
- სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა (2024-2031წ)
- სკოლის ვებ.გვერდი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ვიზიტისას დასაქმებული თანამშრომლების სამტატო ერთეულები განსაზღვრული იყო სკოლის სამტატო ნუსხით, რომლის მიხედვითაც, სკოლაში დასაქმებული იყო რექტორი, პრორექტორი, რექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში, ფინანსური მენეჯერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, 3 დარაჯი, 2 დამლაგებელი, 2 მეეზოვე, ელექტრიკოსი, მძღოლი, ტრაქტორისტი, 3 აღმზრდელი და 23 მასწავლებელი. სკოლას ასევე ჰყავდა წინასასკოლო მზაობის ჯგუფი. შესაბამისად, სკოლას დამატებით ჰყავს ჯგუფის ხელმძღვანელი და აღმზრდელ-მასწავლებელი.

გარდა სკოლის თანამშრომლებისა, სკოლის სამტატო ნუსხაში დამატებული იყო წმ. ამბროსი ხელაიას სახელობის კულტურის ცენტრის ბიბლიოთეკარი. კულტურის ცენტრი განთავსებულია საპატრიარქოს საკუთრებაში არსებულ შენობაში, თუმცა მას სკოლასთან უშუალო კავშირი არ აქვს, რამდენადაც სკოლა აღნიშნულ შენობაში საგანმანათლებლო საქმიანობას არ ახორციელებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლას ესქულის ელექტრონულ სისტემაში ბიბლიოთეკარად დამატებული ჰყავდა სწორედ აღნიშნული ბიბლიოთეკარი და არა ის პირი, ვინც სკოლის სამტატო განრიგითა და წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებით იყო სკოლის ბიბლიოთეკარი.

სკოლამ წარმოადგინა ასევე სკოლის სტრუქტურა, რომლის შესაბამისადაც, სკოლას ხელმძღვანელობს რექტორი. მის დაქვემდებარებაშია მოადგილე სამეურნეო დარგში, პრორექტორი და ფინანსური მენეჯერი. მოცემულია ასევე დამხმარე სტრუქტურული ერთეულები, მათ შორის პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, ტექნიკური პერსონალი და სხვა. საგნობრივი კათედრების ფუნქციებს ეხვედებით სკოლის სასკოლო კურიკულუმში, თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილი არცერთი დოკუმენტით არის განსაზღვრული პედაგოგიური საბჭოს ფუნქციები და ტექნიკური პერსონალის ზუსტი შემადგენლობა.

დასაქმებულ პირთა კონკრეტული ფუნქციები განსაზღვრულია თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შრომითი ხელშეკრულებები და თანამდებობრივი ინსტრუქციები არ არის იდენტური. (მაგალითად, ბიბლიოთეკარის ფუნქცია-მოვალეობები). გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ექთნის ფუნქცია-მოვალეობები, რაც გაწერილია კანონმდებლობით, არ არის დეტალურად ასახული სკოლის ექთნის თანამდებობრივ ინსტრუქციასა და ექთანთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში.

სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასა და მათ შორის კოორდინაციისთვის ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით. სკოლას შემუშავებული აქვს ასევე თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები. თუმცა, სკოლას არ წარმოუდგენია დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრული იქნებოდა სტრუქტურული ერთეულის - პედაგოგიური საბჭოს ფუნქციები. ასევე, ტექნიკური პერსონალის შემადგენლობა, რომელიც გაწერილი იყო სამტატო განრიგით არ იყო შესაბამისობაში ესქულის ბაზაში ასახულ თანამშრომელთა სიასთან. შესაბამისად, სკოლას დეტალურად არ ჰქონდა განსაზღვრული სკოლაში არსებული ყველა პოზიციისა და სკოლაში დასაქმებული ყველა პირის უფლება-მოვალეობები.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის შესაბამისადაც, სკოლას 2024 წლის 2 დეკემბრამდე უნდა განესაზღვრა სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და სკოლაში დასაქმებული ყველა პირის ფუნქცია-მოვალეობები. სკოლამ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს დებულება და ასევე 2024 წლის 2 დეკემბერს დამტკიცებული სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია მოვალეობები. გარდა ამისა, სკოლამ ხარვეზის გამოსწორების მიზნით, შესაბამისობის

გეგმით განსაზღვრულ ვადაში ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანა ესქულის ელ.სისტემაში ასახული თანამშრომელთა მონაცემები და საშტატო ნუსხა. შესაბამისად,

ინდიკატორი 3.1.1.1 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

იერარქიული სტრუქტურისა და თითოეული თანამშრომლის მიერ შესასრულებელი ფუნქციების მკაფიოობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის სტრუქტურა და სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომლითაც განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებული პირების სამუშაო აღწერილობები. თუმცა, სკოლაში ვიზიტის პერიოდისათვის, მათ მიერ არ იყო განსაზღვრული ტექნიკური პერსონალის ზუსტი შემადგენლობა. საშტატო განრიგში მოცემული ტექნიკური პერსონალის პოზიციები არ იყო შესაბამისობაში ესქულის ბაზასთან. მაგალითისათვის, ესქულის ელექტრონულ სისტემაში სკოლას ჰქონდა დურგალის პოზიცია, თუმცა არც პოზიცია და არც აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებული პირი არ გვხვდება სკოლის საშტატო განრიგში. ამის საპირისპიროდ, სკოლას საშტატო განრიგში აქვს ტრაქტორისტის პოზიცია, თუმცა მას ვერ ვხვდებით ესქულის ბაზაში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ემისის ბაზაში ზოგიერთ პოზიციაზე დასაქმებულ პირს მითითებული აქვს განსხვავებული პოზიცია. მაგალითად, ელექტრიკოსის ნაცვლად ბაზაში პირი დამატებული იყო როგორც მუშა. ასევე, წინასასკოლო მზაობის ჯგუფის აღმზრდელ-მასწავლებელი ბაზაში დამატებული იყო როგორც დამხმარე მასწავლებელი, ჯგუფის ხელმძღვანელს კი პოზიცია საერთოდ არ ჰქონდა მითითებული (სხვა).

ასევე, სკოლის სტრუქტურასა და საშტატო განრიგში ფიქსირდებოდა პოზიცია - საქმისმწარმოებელი, თანამდებობრივ ინსტრუქციებში კი პოზიცია, რომელიც შინაარსობრივად ახლოს არის საქმისმწარმოებლის პოზიციასთან, მოცემული იყო როგორც სკოლის ადმინისტრაციის ასისტენტი (კანცელარი).

სკოლაში დასაქმებულ ზოგიერთ პირს, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა, დაკისრებული აქვს გარკვეული პასუხისმგებლობები. მაგ. რექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე და პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელ პირად. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული პოზიციები სკოლას დატანილი აქვს სკოლის სტრუქტურაზე, რაც ქმნის წარმოდგენას, რომ სკოლაში არსებობს შესაბამისი შტატი.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის წესი, რომელიც ასევე მოიცავს ჩანაწერს საშტატო განრიგთან (ასევე არ არის თანხვედრაში) და სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქცია-მოვალეობებთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტით საკმაოდ ვრცელია რექტორის ფუნქციების ჩამონათვალი, თუმცა არ არის განსაზღვრული პრორექტორისა და რექტორის მოადგილის ფუნქციები. მეტიც, აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულ საშტატო განრიგში მოადგილე საერთოდ არ ფიქსირდება.

სკოლამ ხარვეზის გამოსწორების მიზნით, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს დებულება, რომელიც მოიცავს პედაგოგიური საბჭოს ფუნქცია-მოვალეობებს. რექტორის ბრძანებით განისაზღვრა ასევე ელექტრონული ჟურნალების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი.

აგრეთვე, სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია მოვალეობები. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ გაითვალისწინა ჯგუფის რჩევაც და ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანილ იქნა ესქულის ელექტრონულ სისტემაში, თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და შრომით ხელშეკრულებებში დაფიქსირებული პოზიციების სახელწოდებები.

ინდიკატორი 3.1.1.2 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის საშტატო განრიგი;
- სკოლის სტრუქტურა;
- თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- პერსონალის მართვის წესი;
- ესქულის ელექტრონული სისტემა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

სკოლაში დასაქმებული პერსონალის მართვა ხორციელდება სკოლის შინაგანაწესითა და თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად. სკოლას აქვს საკუთარი ორგანიზაციული მოწყობა და შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც მოიცავს ადამიანური რესურსების შეფასებისა და გაუმჯობესების საკითხებს.

აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასება ხორციელდება მონიტორინგის საშუალებით, ადმინისტრაციის წევრებთან შემდგარი ჯგუფის მიერ, რომელიც შეფასებას ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დანართების მიხედვით. ამავე დოკუმენტით დგინდება, რომ მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის საქმიანობაც რეგულირდება შესაბამისი დებულებით. თუმცა, არც ვიზიტის პერიოდში და არც შემდგომში, სკოლას არ წარმოუდგენია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება ან/და მონიტორინგისა და შეფასების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალის მართვასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირებულია სკოლის შინაგანაწესით და მოიცავს თანამშრომლეთა სკოლაში მიღებას, სამსახურში გამოცხადების წესს, შრომის დისციპლინის საკითხებს და ა.შ.

აღნიშნულის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს ის საკითხებიც, რომელიც გათვალისწინებული იყო სკოლის ვიზიტის პერიოდში მოქმედი შინაგანაწესით და არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას. კერძოდ, შინაგანაწესში არსებული ჩანაწერის შესაბამისად, თუ პედაგოგს აქვს სკოლაში მუშაობის შეწყვეტის, ან საათების მკვეთრი შემცირების სურვილი, იგი ვალდებულია, აცნობოს დირექციას სამუშაოს შეწყვეტამდე, ან საათების მკვეთრ შემცირებამდე 3 (სამი) თვით ადრე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ პირობის დამრღვევი, შესაძლებელია გათავისუფლდეს სამსახურიდან დაუყოვნებლივ, ანაზღაურების გარეშე. (ეწინააღმდეგება შრომის კოდექსს). შრომის კოდექსთან შეუსაბამო იყო ასევე ჩანაწერი გამოსაცდელი ვადით თანამშრომლის დასაქმებასთან დაკავშირებით - არაუმეტეს ერთი სასწავლო წლისა.

გარდა ამისა, სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად, სკოლაში სასწავლო წლის, არდადეგების დაწყების და დამთავრების დრო განისაზღვრება სკოლის დირექციის ან საპატრიარქოს განათლების ცენტრის მიერ.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის შესაბამისადაც, სკოლას 2024 წლის 2 დეკემბრამდე უნდა მოეხდინა სკოლის შინაგანაწესის მოქმედ შრომის კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანა. სკოლას დაფიქსირებული ხარვეზების ნაწილი გათვალისწინებული აქვს შინაგანაწესის კორექტორებისას, თუმცა მასში ჯერ კიდევ ვხვდებით შრომის კოდექსთან შეუსაბამო ჩანაწერს გამოსაცდელ პერიოდთან დაკავშირებით (არ უნდა აღემატებოდეს ერთ სასწავლო წელს).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვერ ჩაითვლება, რომ სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

ხარვეზი: სკოლის შინაგანაწესი არ შეესაბამება შრომის კოდექსს და მოქმედ კანონმდებლობას.

ინდიკატორი 3.1.2.1 არ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

სკოლა პერსონალის მართვის პროცესში ახორციელებს პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკას. კადრების ნაკლებობისა თუ ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, სკოლა დროულად აცხადებს ვაკანსიებს და მოქმედებს როგორც კანონმდებლობით, ისე შიდა ბრძანებებით განსაზღვრული ვადების შესაბამისად. გარდა ამისა, სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებულია სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში სკოლის ინფორმირების წესი. ამასთანავე, სკოლას შემუშავებული აქვს სათადარიგო ცხრილი, რათა რომელიმე მასწავლებლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მყისიერად შეძლონ ჩანაცვლება და შეუფერხებლად წარიმართოს საგაკვეთილო პროცესი.

ინდიკატორი 3.1.2.2 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ადგენს სკოლის პერსონალის შერჩევის პროცედურებს. სკოლაში თანამშრომელთა მიღების წესთან დაკავშირებულ საკითხებს მოიცავს სკოლის შინაგანაწესიც. აღნიშნული დოკუმენტები არ არის ერთმანეთთან შესაბამისობაში. კერძოდ, პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, სკოლა მასწავლებლებს არჩევს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, შიდა და ღია კონკურსის გამოცხადების გზით, ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს საკონკურსო კომისიის შექმნისა და გადაწყვეტილების მიღების საკითხებს. სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად კი, სკოლის პედაგოგები და ადმინისტრაციის წევრები სამსახურში მიიღებიან კონკურსის წესით ან რექტორის გადაწყვეტილებით. არ არის ასევე თანხვედრაში აღნიშნული დოკუმენტებით განსაზღვრული კონკურსის ეტაპები.

სკოლის მიერ შემუშავებული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით სკოლას ვრცლად აქვს განხილული მასწავლებლის შერჩევის პროცედურები, თუმცა, არც აღნიშნული და არც სხვა რომელიმე დოკუმენტი არ ადგენდა თანამშრომელთა (გარდა მასწავლებლისა) შერჩევის წესსა და პროცედურებს. სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად, სკოლის არაპედაგოგი თანამშრომლები

სამუშაოზე მიიღებიან პირადი განცხადების საფუძველზე. მათი სამუშაოზე მიღების საკითხს წყვეტს სკოლის რექტორი.

გარდა ამისა, პერსონალის შერჩევის პოლიტიკასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის შინაგანაწესი არ ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დასაქმების შეზღუდვის შემთხვევებს და შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე კანდიდატებს არ ავალდებულებს სხვა დოკუმენტებთან ერთად წარმოადგინოს შესაბამისი ცნობები. გარდა შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნისა, სკოლაში შემოწმდა თანამშრომელთა პირადი საქმეები და გამოიკვეთა, რომ 7 თანამშრომელს არ ჰქონდა ცნობა ნასამართლეობის შესახებ და 5 თანამშრომელს არ ჰქონდა ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის ცნობა. ამასთან, სკოლას არ წარმოუდგენია თანამშრომელთა ნაწილის, მათ შორის, სკოლის რექტორისა და ფინანსური მენეჯერის პირადი საქმეები.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც სკოლას 2024 წლის 2 დეკემბრამდე უნდა განესაზღვრა თანამშრომელთა შერჩევის დეტალური წესი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის 7 ოქტომბრის 2-46 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის პერსონალის შერჩევისა და ადაპტაციის-ორიენტაციის პროცედურა. დოკუმენტის შესაბამისად, სკოლაში შექმნილია საკონკურსო კომისია, რომელიც ვაკანსიის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიმუშავებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, განსაზღვრავს ვაკანტური ადგილის შევსება მოხდეს შიდა თუ ღია კონკურსის გამოცხადებით, ირჩევს ვაკანსიის განთავსებისა და რეკლამირების საშუალებას, ადგენს განაცხადების მიღების ვადებსა და ფორმატს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის შინაგანაწესი არც კორექტირების შემდგომ ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დასაქმების შეზღუდვის შემთხვევებს და შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე კანდიდატებს არ ავალდებულებს სხვა დოკუმენტებთან ერთად წარმოადგინოს შესაბამისი ცნობები.

ამასთან, თანამშრომლებზე, რომელთა პირად საქმეებშიც არ იწახებოდა კანონით განსაზღვრული ცნობები, სკოლამ უზრუნველყო ცნობების მომზადება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში და წარმოადგინა ისინი არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად.

თუმცა, ვინაიდან არც სკოლაში ვიზიტისას და არც შემდგომ, სკოლას არ წარმოუდგენია თანამშრომელთა ნაწილის, მათ შორის, სკოლის რექტორისა და ფინანსური მენეჯერის პირადი საქმეები, რომლებიც უნდა შეიცავდეთ მათი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტებსა თუ კანონით დადგენილ ცნობებს, ვერ შეფასდება სკოლის მიერ პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვისა და დასაქმების უზრუნველყოფის საკითხი.

ხარვეზი: სკოლას არ აქვს წარმოდგენილი ყველა თანამშრომლის, მათ შორის რექტორისა და ფინანსურ მენეჯერის პირადი საქმეები. შესაბამისად, ვერ დგინდება სკოლის მიერ პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვა და დასაქმების უზრუნველყოფა.

ინდიკატორი 3.1.2.3 არ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებლის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. გარდა მასწავლებლებისა, სკოლაში დასაქმებულია ექთანი, რომლის კვალიფიკაციაც შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

რაც შეეხება სკოლაში არსებულ სხვა პოზიციებს, სკოლის მიერ შემუშავებული ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, ფუნქცია-მოვალეობებთან ერთად, ადგენს საკვალიფიკაციო მოთხოვნებსაც. თუმცა, აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ იყო დადგენილი სკოლაში არსებული ყველა პოზიციისათვის. მათ შორის, არ იყო განსაზღვრული პრორექტორისა და რექტორის მოადგილის (სამეურნეო დარგში) მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და ასევე, ხარვეზის გამოსწორების მიზნით, წარმოდგენილ იქნა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში დამტკიცებული თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები. აღნიშნული დოკუმენტით განისაზღვრა პრორექტორისა და რექტორის მოადგილის (სამეურნეო დარგში) მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც. აღნიშნულ პირთა კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და სკოლის მიერ დადგენილ მოთხოვნებს. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას არ წარმოუდგენია თანამშრომელთა ნაწილის, მათ შორის, სკოლის რექტორისა და ფინანსური მენეჯერის პირადი საქმეები, რომელშიც უნდა ინახებოდეს დასაქმებულ პირთა განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები, ვერ ფასება მათი კვალიფიკაციის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასა და სკოლის მიერ შემუშავებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

ხარვეზი: სკოლას არ აქვს წარმოდგენილი ყველა თანამშრომლის, მათ შორის რექტორისა და ფინანსურ მენეჯერის პირადი საქმეები. შესაბამისად, ვერ დგინდება პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასა და სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 3.1.2.4 არ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი კოლეგიური სტრუქტურული ერთეულების სხდომის ოქმებითა და სკოლის თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუებით დასტურდება, რომ სკოლაში მიმდინარე პროცესები ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას. საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს ერთობლივი მუშაობა საგნობრივ კურიკულუმებზე, რაც ნათლად იკვეთება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებით, ისე მასწავლებლებთან გასაუბრებით. უნდა აღინიშნოს, რომ სასკოლო საზოგადოება გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხელმძღვანელობს თანამშრომლობითი პრინციპით. გუნდური და მონაწილეობითი მუშაობა გამოიკვეთა სკოლაში ვიზიტის დროსაც.

ინდიკატორი 3.1.2.5 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლის მიერ შემუშავებული ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებასა და გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმებს. გარდა ამისა, სკოლას შინაგანაწესით განსაზღვრული აქვს წახალისების მექანიზმები. კერძოდ, თანამშრომელთა წახალისების მიზნით გამოიყენება წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით დაჯილდოვება, ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. შინაგანაწესი წახალისების ფორმებთან ერთად ადგენს მათი გამოყენების წესსაც.

დამატებით უნდა აღინიშნოს სკოლის გამოცდილება თანამშრომელთა წახალისებასთან დაკავშირებით. 2023 წლის ბოლოს, სკოლამ დამსახურებული მასწავლებლები, რომლებიც მხოლოდ საპატრიაქროს სკოლაში მუშაობენ, პლანშეტებით დაასაჩუქრა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ სკოლას აქვს გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების ეფექტიანი მექანიზმი.

ინდიკატორი 3.1.2.6 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- ხარისხის მართვის პოლიტიკა;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;

- საგნობრივი კათედრების ოქმები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

სკოლის მიერ წარმოდგენილი ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს ადამიანური რესურსების შეფასებისა და გაუმჯობესების საკითხებს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული

განვითარების მექანიზმები, რომლის შემოღებისა და განხორციელების სკოლის მიზანმიმართულ სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლებაა.

სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტის თანახმად, სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა. შეფასება ხორციელდება მონიტორინგის მეშვეობით. მონიტორინგს ატარებს ადმინისტრაციის წევრთაგან შექმნილი ჯგუფი. მასწავლებელთა შეფასება კი ხდება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების შესაბამისად. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების და საჭიროებების თაობაზე სკოლა შეიმუშავებს გეგმას და გამოყოფს შესაბამის რესურსს. თუმცა, არც სკოლაში ვიზიტისას და არც შემდგომ, სკოლას არ წარმოუდგენია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომლის შესავამისადაც ხდება მასწავლებელთა შეფასება. ასევე, სკოლას არ აქვს წარმოდგენილი მონიტორინგისა და შეფასების ჩატარებისა თუ შემდგომი ანალიზისა და რეაგირების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება. წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით, მოქმედებს კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი. როგორც ერთი კათედრის ფარგლებში, ისე სხვა კათედრებთან თანამშრომლობით, მასწავლებლები გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს, ასევე ახორციელებენ ურთიერთდასწრებას და ხდება უკუკავშირის მიცემა.

ინდიკატორი 3.2.1.1 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

სკოლის მიერ შემუშავებული ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, თანამშრომელთა მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების და საჭიროებების თაობაზე სკოლა შეიმუშავებს გეგმას და გამოყოფს შესაბამის რესურსს. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას არ წარმოუდგენია თანამშრომელთა შეფასების, შეფასების შემდგომი ანალიზისა თუ რეაგირების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, მათ შორის, გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმა, ვერ დგინდება, რომ სკოლაში პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის შესაბამისადაც, სკოლას უნდა შეემუშავებინა პერსონალის საჭიროებებზე დაფუძნებული განვითარების გეგმა (10.5.2022). აღნიშნულ ხარვეზთან მიმართებაში სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წელს დამტკიცებული ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტი, ისევე როგორც სკოლის მიერ შემუშავებული ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, ადგენს სკოლის ადამიანური რესურსების განვითარების მექანიზმებს, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას დამატებით არ წარმოუდგენია თანამშრომელთა

საჭიროებების კვლევისა თუ შეფასებისა და შემდგომი რეაგირების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, ვერ ჩაითვლება, რომ სკოლაში პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.

ხარვეზი: სკოლას არ აქვს შემუშავებული პერსონალის საჭიროებებზე დაფუძნებული განვითარების გეგმა.

ინდიკატორი 3.2.1.2 არ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

სკოლის ადმინისტრაცია ცდილობს ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და პედაგოგებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ საგნობრივი კათედრები როგორც ერთი კათედრის ფარგლებში, ისე სხვა კათედრებთან თანამშრომლობით, აქტიურად ატარებენ შეხვედრებს, რომელზეც პედაგოგები ერთად განიხილავენ კარიერული ზრდა-განვითარებისთვის საჭირო 2აქტივობებსა და სხვადასხვა ღონისძიებებს. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ პარალელურად სხვა სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები, კოლეგებს უზიარებენ მათ შორის სხვა სკოლებში მიღებულ ცოდნასა და საუკეთესო გამოცდილებას.

ინდიკატორი 3.2.1.3 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმ. ამბროსი ხელაიას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან ყველა საჭირო პირობაა შექმნილი, რათა მოხდეს სამუშაო გარემოსთან თანამშრომლების ინტეგრაცია. სკოლა ზრუნავს, რომ მათ მიერ შერჩეულმა პირმა შეძლოს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა, წარმატებით გაიაროს ორგანიზაციასთან ადაპტაციის პროცესი და გახდეს სკოლის ღირებული წევრი. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს პერსონალის ადაპტაციის მექანიზმი. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი აცნობენ ახალ თანამშრომელს შინაგანაწესს, სამუშაო წესებს და სკოლის ორგანიზაციულ კულტურას.

ინდიკატორი 3.2.1.4 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

წახალისების მექანიზმებს ეხვდებათ სკოლის შინაგანაწესში, რომლის შესაბამისადაც, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ადმინისტრაცია მუდმივად ცდილობს თანამშრომელთა წახალისებას სიგელების საშუალებითა და ზეპირსიტყვიერად მადლობის გამოცხადებით.

ინტერვიუების დროს ასევე გამოიკვეთა, რომ სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორი 3.2.1.5 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- ხარისხის მართვის პოლიტიკა;
- კათედრის ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- თანამშრომლებთან ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმ. ამბროსი ხელაიას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი ძირითადად ეფუძნება სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლის სამოქმედო გეგმას. აღნიშნული დოკუმენტები ერთმანეთთან თანხვედრაშია და გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და მიზნებიდან. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საგნობრივი კათედრების მიერ ხორციელდება სასწავლო პროგრამების შეფასება და შემდგომი გაუმჯობესება.

გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიზანია სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი

განვითარებისათვის ხელშეწყობა. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის წესების და პროცედურების შემუშავებას, განხორციელებასა და შეფასებას.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს არსებული სასწავლო პროგრამების/სადამრიგებლო გეგმების მონიტორინგს, მისი გაუმჯობესების მიზნით, რომელიც დაეფუძნება სკოლის დირექციისა და მასწავლებლების მიერ მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, კათედრების/დამრიგებლების ანგარიშგებას და ამ ინფორმაციის გამოყენებას სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რაც თავის მხრივ გულისხმობს სასწავლო პროცესის დაფუძნებას პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლზე.

ინდიკატორი 3.3.1.1 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში. მათ შორის, შინაგანაწესში, სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებში, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში, კურსკულუმის დანერგვის მეთოდოლოგიაში და სასკოლო სასწავლო გეგმაში. აღნიშნული პროცესების აღწერას გარკვეულწილად მოიცავს ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტიც.

სკოლაში არსებული დამხმარე პროცესებს განსაზღვრავს სკოლის საქმისწარმოების წესი და სკოლის საქმიანობა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ასევე, სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი და სხვა.

ინდიკატორი 3.3.1.2 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

გასაჩივრების პროცედურები განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით, სკოლის მიერ შემუშავებული სკოლის დასაქმებულ პირთა, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების და მოსწავლეთა მიმართ სკოლის ადმინისტრაციის გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმების დოკუმენტითა და სასკოლო საზოგადოების, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერ წარმომადგენლის, კანონიერი უფლებების დაცვის წესით.

სკოლის შინაგანაწესში არსებული განცხადების/საჩივრის განხილვის წესი არის ძალიან ზოგადი და ვერ უზრუნველყოფს გასაჩივრების უფლების რეალიზებას. რაც შეეხება სკოლის მიერ შემუშავებულ გასაჩივრების მექანიზმებს, აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, საჩივრებს პირველ რიგში განიხილავს რექტორი ობიექტურობისა და სამართლიანობის, მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვით, კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად დადგენილ ვადებში. თუმცა, არ არის დეტალურად განსაზღვრული საჩივრის წადგენის ვადა, საჩივრის შინაარსი, საჩივრის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები, საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადები. გარდა ამისა, დოკუმენტში ფიქსირდება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში რექტორის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სახალხო დამცველთან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასკოლო საზოგადოების, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერ წარმომადგენლის, კანონიერი უფლებების დაცვის წესი ითვალისწინებს სკოლაში პერსონალის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების შემთხვევებს. აღნიშნული წესის შესაბამისად, თანამშრომელს უფლება აქვს საჩივრის მისთვის არადამაკმაყოფილებელი შედეგის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს საგანმანათლებლო რესურსცენტრს. რესურსცენტრის უკანონო ქმედების/უმოქმედობის შესახებ აცნობოს სამინისტროს, შრომითსამართლებრივ საკითხებში მათი უფლებების დაცვისთვის მიმართოს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა პროფკავშირს და ასევე, ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნული ჩანაწერები ეწინააღმდეგება სკოლის მიერ დადგენილ გასაჩივრების წესსა და მოქმედ კანონმდებლობას.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის შესაბამისადაც, სკოლას 2024 წლის 2 დეკემბრამდე უნდა შეემუშავებინა კანონმდებლობასთან შესაბამისი გასაჩივრების მექანიზმები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სკოლამ წარმოადგინა სკოლის რექტორის 2024 წლის 7 ოქტომბრის N2-47 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ წარგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა“. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, სკოლაში საჩივრებს განიხილავს რექტორი, პრორექტორი ან დისციპლინური კომიტეტი, თუმცა, არ არის კონკრეტულად გაწერილი, როგორ ხდება განმხილველი პირის/სტრუქტურული ერთეულის განსაზღვრა. ასევე, არ არის განსაზღვრული განცხადების წარდგენისა და განხილვის წესი და ვადები. შესაბამისად, ვერ მიიჩნევა რომ სკოლაში მოქმედებს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა.

ხარვეზი: სკოლის მიერ შემუშავებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის წესით არ არის განსაზღვრული სკოლაში განცხადების წარდგენის და განხილვის წესი და ვადები. ასევე, საჩივრის წარდგენის შემთხვევაში არ არის გაწერილი დეტალური პროცედურა, როგორ ხდება საჩივრის განმხილველი პირის/სტრუქტურული ერთეულის განსაზღვრა.

ინდიკატორი 3.3.1.3 არ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის დასაქმებულ პირთა, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების და მოსწავლეთა მიმართ სკოლის ადმინისტრაციის გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმები დოკუმენტი და სასკოლო საზოგადოების, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, კანონიერი უფლებების დაცვის წესი. აღნიშნული დოკუმენტების შემუშავება სკოლის მხრიდან მიზნად ისახავს ზემოთ აღნიშნული პირების კანონიერი უფლებების დაცვას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კანონიერი უფლებების დაცვის წესი, რომელიც სკოლაში ვიზიტის პერიოდში იყო მოქმედი, არ იყო შესაბამისობაში სკოლის რეალურად პროცესებთან. კერძოდ, სკოლას არ ჰყავდა სამეურვეო საბჭო და დისციპლინური კომიტეტი.

პერსონალის უფლებების დაცვის ერთგვარი მექანიზმია ასევე, სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებაც. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არ იყო შესაბამისი მოქმედ კანონმდებლობასთან. კერძოდ, ხელშეკრულებები არ მოიცავდა შრომის ანაზღაურების ოდენობას, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობასა და მისი მიცემის წესსა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესს. გარდა ამისა, მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ ფიქსირდებოდა მათი სქემით განსაზღვრული სტატუსები. ზოგიერთ თანამშრომელთან გამოყენებული იყო მასწავლებელთათვის განკუთვლილი ხელშეკრულების ნიმუში, რამდენადაც ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებში ფიქსირდებოდა სერთიფიცირებული მასწავლებლის სტატუსის შეწყვეტა, მასწავლებლის არასათანადო მუშაობა და სხვა.

სკოლის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ იქნა სკოლის რექტორის 2024 წლის 7 ოქტომბრის N2-24 ბრძანება სკოლის სასკოლო საზოგადოების, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, კანონიერი უფლებების დაცვის თაობაზე. აღნიშნული დოკუმენტი შესაბამისობაშია სკოლის რეალურ პროცესებთან, რამდენადაც აღარ შეიცავს ჩანაწერს სამეურვეო საბჭოსთან დაკავშირებით, რომელიც არ ფუნქციონირებს სკოლაში.

რაც შეეხება თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს, სკოლამ შესაბამისობის გეგმით გაწერა, რომ შრომით ხელშეკრულებებს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოიყვანდა 2024 წლის 2 დეკემბრამდე. თუმცა, სკოლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებები, რომელიც თარიღდება 2024 წლის 15 სექტემბრით, კვლავ არ არის შესაბამისობაში კანონმდებლობასთან. კერძოდ, არც აღნიშნული ხელშეკრულებები ითვალისწინებს დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების ოდენობას, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობასა და მისი მიცემის წესს.

ხარვეზი: თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულება არ არის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, არ შეიცავს შრომის კოდექსით დადგენილ, ხელშეკრულების სავალდებულო პირობებს.

ინდიკატორი 3.3.1.4 არ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- თანამშრომელთა ხელშეკრულებები;
- სკოლის დასაქმებულ პირთა, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების და მოსწავლეთა მიმართ სკოლის ადმინისტრაციის გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმები;
- სასკოლო საზოგადოების, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერ წარმომადგენლის, კანონიერი უფლებების დაცვის წესი;
- სკოლის სტრატეგიული გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმ. ამბროსი ხელაიას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს, აღწერს სკოლის შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს. აღნიშნული წესის შემუშავების მიზანია სკოლის საკომუნიკაციო სტრატეგიების ეფექტური გამოყენება ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის და სასკოლო საზოგადოების ინფორმირება სკოლის საქმიანობის შესახებ, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების როლის ზრდას სკოლის საქმიანობაში. სკოლა მოსწავლეებთან და თანამშრომლებთან კომუნიკაციისათვის აქტიურად იყენებს ელ-ფოსტასა და სოციალური მედიის არხებს. სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუებისას

გამოიკვეთა, რომ სკოლა მშობლებთან კომუნიკაციისათვის აქტიურად იყენებს სოციალური ქსელების ჯგუფებს. თუმცა, საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესში არ არის გაწერილი მშობლებთან კომუნიკაციის ფორმა და საშუალებები.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისათვის სკოლა იყენებს სკოლის ვებ.გვერდს. ამასთანავე, სკოლის შესახებ ყველა საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია განთავსებულია სკოლის სოციალურ ქსელში, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიება.

რჩევა: საზოგადოებასთან ურთიერთობის წესში გაიწეროს მშობლებთან კომუნიკაციის ფორმა და საშუალებები.

ინდიკატორი 3.3.2.1 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სკოლაში ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო და საგნობრივი კათედრები. აღნიშნული სტრუქტურული რგოლების მუშაობის მთავარი მიზანი დემოკრატიული გარემოს შექმნაა, რაც ხელს შეუწყობს ყველა დაინტერესებული პირების ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. უნდა აღინიშნოს ასევე სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისას. აღსანიშნავია ასევე, რომ სკოლა სამომავლოდ გეგმავს მოსწავლეთა თვითმმართველობის ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმით, მომდევნო სასწავლო წლისთვის გათვალისწინებულია მშობელთა კომიტეტის შექმნა, რომელიც შეიმუშავებს ინიციატივების, რეკომენდაციების, შენიშვნების სისტემას სკოლის მომავალი განვითარების უზრუნველსაყოფად.

ინდიკატორი 3.3.2.2 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- საგნობრივი კათედრების ოქმები;
- სკოლის ვებ.გვერდი;
- სკოლის სოციალური ქსელის გვერდი;
- სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმ. ამბროსი ხელაიას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამ 2024 წლის 24 ივლისს მიმართა კომპანიას (რეალექსპერტი) შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნას მოპოვების მიზნით. თუმცა, სკოლაში ვიზიტის პერიოდისათვის, სკოლას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოპოვებული ჰქონდა შენობის მდგრადობის დოკუმენტი.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად, სკოლამ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების უსაფრთხოების შესახებ დასკვნა უნდა მოიპოვოს 2025 წლის 28 თებერვლამდე. ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, სკოლამ 2024 წლის 28 ნოემბერს საექსპერტო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება გააფორმა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან.

ამასთან, სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის 31 ივლისს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისაგან მიღებული წერილი, რომლის შესაბამისადაც, მათ შეითანხმეს სკოლის მიერ წარდგენილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. შესაბამისად, 2024 წლის 29 ივლისს 2-16 ბრძანებით სკოლამ დაამტკიცა საგანგებო მართვის გეგმა.

რაც შეეხება, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობას, აღნიშნულის დადგენის მიზნით სკოლამ მიმართა შესაბამის სამსახურს, რომელმაც სკოლას მოუმზადა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი. აღნიშნული სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით, სკოლამ წარმოადგინა შპს „იმერეთის სახანძრო დაცვასთან“ გაფორმებული შესყიდვის ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანას, მათ შორის მოიცავს ცეცლმაქრების დამუხტვის საკითხს, ხის კონსტრუქციების დამუშავებას ხანძარსაწინააღმდეგო ანტისეპტიკური ხსნარით, სკოლის სიგნალიზაციის სრული კომპლექტით აღჭურვას და სხვა.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, რომლის შესაბამისადაც, ყოველ დღე სკოლის სამივე სართულზე მორიგეობენ სკოლის თანამშრომლები. გარდა ამისა, სკოლას აქვს ვიდეოკამერები, რომლითაც ხდება როგორც სკოლის შიდა, ისე გარე პერიმეტრის კონტროლი.

რეკომენდაცია: სკოლამ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მიღება უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

ინდიკატორი 3.4.1.1 მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სკოლას პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველსაყოფად, პირველ სართულზე მოწყობილი აქვს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, ნიავედება ბუნებრივი ვენტილაციის გზით და აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით: სამედიცინო ტახტი, საკაცე, მაცივარი და კარადები. ექიმის კაბინეტი უზრუნველყოფილია ასევე ყველა საჭირო მედიკამენტითა და პირველადი დახმარებისათვის საჭირო საშუალებებით. სამედიცინო კაბინეტში დაცულია პაციენტის გასინჯვის პრივატულობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას კანონმდებლობით განსაზღვრული წესით აყვანილი ჰყავს ექთანი, რომელიც გაწეული სამედიცინო მომსახურებისა და შემთხვევების აღრიცხვას ახორციელებს კანონით დადგენილი წესით. სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

რჩევა, უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება.

ინდიკატორი 3.4.1.2 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლას უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები განსაზღვრული აქვს სკოლის შინაგანაწესით, რომლის შესაბამისადაც, სკოლაში უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივ წესრიგს უზრუნველყოფს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. გარდა ამისა, სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები, წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებები და საგანგებო სიტუაციებისას განსახორციელებელი ღონისძიებები გაწერილია სკოლის რექტორის მიერ დამტკიცებულ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესსა და პირობებში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში ვიზიტის პერიოდისათვის აღნიშნული კანონმდებლობით დადგენილი წესით არ იყო შეთანხმებული სამინისტროსთან. სკოლამ 2022 წლის ნოემბერში წერილობით მიმართა საგანმანათლებლო რესურსცენტრს შუამდგომლობისათვის, რათა აღნიშნული წესი შეეთანხმებინა სამინისტროსთან. თუმცა სკოლას აღნიშნულ წერილზე უკუკავშირი არ ჰქონია.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად, სკოლამ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი სამინისტროსთან უნდა შეათანხმოს 2025 წლის 4 ნოემბრამდე. აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების მიზნით, სკოლამ უკვე მიმართა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უსაფრთხოების წესის შესათანხმებლად.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს ასევე მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, რომლის შესაბამისადაც, ყოველდღიურად სკოლის სამივე სართული კონტროლდება სკოლის თანამშრომლების მიერ. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლას დერეფანში რამდენიმე ადგილას გამოკრული აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი – 112 (შემდგომ – 112). ასევე გამოკრულია განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ნომერი და საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი.

რეკომენდაცია: სკოლამ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი შეათანხმოს სამინისტროსთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.

ინდიკატორი 3.4.1.3 მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სკოლის ინფრასტრუქტურა, კერძოდ, სკოლის ეზოში მოწყობილი საერთო გამოყენების სივრცეები თუ სკოლის დერეფნები ხელს უწყობს შესვენებაზე მოსწავლეთა სოციალიზაციის პროცესს. ისინი სკოლის ეზოსა და სპორტულ დარბაზს აქტიურად იყენებენ სპორტული აქტივობებისთვის და შეჯიბრებების ორგანიზებისთვის. ეზოშივე მოწყობილია დასასვენებელი სივრცე, რომელსაც ასევე აქტიურად იყენებენ მოსწავლეები. სკოლაში საკლასო სივრცეებში განთავსებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც მათთვის მამოტივირებელ გარემოს ქმნის.

გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, სკოლა მოსწალებს აწვდის საჭირო ინფორმაციას და ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის ცხელი ხაზის ნომერს. გარდა ამისა, მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კლასის დამრიგებლები მოსწავლეებთან ატარებენ საგანმანათლებლო-საინფორმაციო შეხვედრებს, სადაც საუბრობენ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ძალადობა, ბულინგი და კიბერბულინგი.

ინდიკატორი 3.4.1.4 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფს სკოლის 2 დამლაგებელი და დამატებით 2 მეუზოვე, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. გარდა ამისა, დამლაგებლების მუშაობას ყოველდღიურ მონიტორინგს უწევს სკოლის ექთანი.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში ვიზიტის პერიოდში, სკოლის შენობაში და სველ წერტილებში დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილი იყო პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებითა და საჭირო რესურსებით.

სკოლის ტერიტორიაზე სასმელი წლის არარსებობის გამო, სკოლაში განთავსებულია წყლის დისპენსერები, რომლის წყლით მომარაგებაც ხდება მიმდებარე სოფლიდან, ყოველდღიურად.

რჩევა, სკოლამ უზრუნველყოს სასმელი წყლის პერიოდული შემოწმება სასმელად ვარგისიანობაზე.

ინდიკატორი 3.4.1.5 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესებსა და პროცედურებს, და ამსთანავე უზრუნველყოფს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვას. სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე და სხვა ნებისმიერ პერსონალური მონაცემების მიმღებზე. აღნიშნულ წესში გაწერილია მონაცემთა დამუშავების მიზნები და საფუძვლები, მონაცემთა სუბიექტები და კატეგორიები, მონაცემთა სუბიექტის უფლებები. სკოლა პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს სუბიექტების თანხმობით. სკოლას ასევე ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

ინდიკატორი 3.4.1.6 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, რომლის შესაბამისადაც ხორციელდება მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების დამუშავება, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნობრიობის გათვალისწინება და პერსონალური მონაცემების დაცვა. სკოლაში დამუშავებულ მონაცემებზე წვდომა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაძლებელია ჰქონდეს: რექტორს, პრორექტორს, საქმისმწარმოებელს, დამრიგებელს, მასწავლებელს, დარაჯს და ექიმს. სკოლის დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, დაცულია და ინახება არქივში.

ვიდეოსთვალთვალო სისტემის ყოველდღიურ გამოყენებასა და ადმინისტრირებას უზრუნველყოფდეს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი - რექტორის მოადგილე (სამეურნეო დარგში). მონიტორი, რომელზეც ასახულია ვიდეოსთვალთვალო სისტემის ხედვის არეალი, განთავსებულია სკოლის შესასვლელში, სპეციალურ ოთახში, რომელზე წვდომაც აქვს მხოლოდ შესაბამის უფლებამოსილ პირს.

ინდიკატორი 3.4.1.7 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები, წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებები და საგანგებო სიტუაციებისას განსახორციელებელი ღონისძიებები გაწერილია სკოლის რექტორის მიერ დამტკიცებულ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესსა და პირობებში. თუმცა, არც აღნიშნული და არც სკოლის მიერ წარმოდგენილი სხვა დოკუმენტით, არ დასტურდება, რომ სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის შესაბამისადაც, სკოლამ ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასებისა და შეფასების შედეგების შესაბამისად მექანიზმების გაუმჯობესებისათვის განსაზღვრა ვადა 2025 წლის 4 ნოემბრამდე.

რეკომენდაცია: სკოლამ ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასება და შეფასების შედეგების საფუძველზე აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესება განახორციელოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

ინდიკატორი 3.4.1.8 მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ექთნის ხელშეკრულება;
- დამლაგებლის ხელშეკრულება;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი;
- სკოლის შინაგანაწესი;

- სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა;
- სკოლის საგანგებო მართვის გეგმა;
- წერილი შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მომზადებასთან დაკავშირებით;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას სარგებლობაში აქვს სამსართულიანი შენობა. სკოლაში არის 12 საკლასო ოთახი, რომელიც აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ასაკზე მორგებული ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და სასკოლო დაფებით. წარმოდგენილი დოკუმენტებითა და სკოლის დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლას მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისად, გააჩნია საკმარისი რაოდენობით საჭირო სასკოლო ინვენტარი.

სკოლას აქვს IT კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერებით, ერთი პრინტერთა და პროექტორით. თუმცა, განთავსებული კომპიუტერებიდან, მუშა მდგომარეობაშია მხოლოდ ექვსი კომპიუტერი. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზის გაუმჯობესება - კომპიუტერების შეძენა, მეორე მეორე სემესტრის განმავლობაში. ინტერნეტი ხელმისაწვდომია სკოლის ყველა მოსწავლისა და თანამშრომლისათვის. სკოლას აქვს სხვადასხვა თვალსაჩინოებები და აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის) კაბინეტი. აღნიშნული კაბინეტისათვის განკუთვნილი მატერიალური რესურსი არის მწირი, თუმცა, საგნობრივი ექსპერტების შეფასებით, აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს.

სკოლას აქვს დახურული სპორტული დარბაზი. აქვს ასევე ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, საინფორმაციო და სხვა სახის მასალები. სკოლის შემოსასვლელში განთავსებულია პანდუსი და რაც შშმ მოსწავლეს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შენობაშიშესვლისა და გადაადგილების შესაძლებლობას მისცემს. სკოლას აქვს ასევე ადაპტირებული სველი წერტილები.

ინდიკატორი 3.5.1.1 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

ინფრასტრუქტურა საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლის სპორტულ დარბაზში რეგულარულად ტარდება სპორტული ღონისძიებები. ბიბლიოთეკა და IT კაბინეტი ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. სკოლის ეზოში მოსწობილია ასევე საერთო დასვენების სივრცეები, რომელსაც

აქტიურად იყენებენ, როგორც მოსწავლეები, ისე სკოლის თანამშრომლები.

ინდიკატორი 3.5.1.2 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით; სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკის გამოყენების წესი. ბიბლიოთეკაში ინახება როგორც სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ისე საკითხავი, სასკოლო საგნობრივი ლიტერატურა და დამხმარე ლიტერატურა და მასალები. ბიბლიოთეკაში წიგნები განთავსებულია თემატურად. წიგნადი ფონდი დამუშავებულია კანონმდებლობის შესაბამისად და წიგნები აღრიცხულია საინვენტარო წიგნში.

ინდიკატორი 3.5.1.3 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს; სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია და შექმნილი აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების პირობები. სასკოლო გარემო ადაპტირებულია. სკოლის შესასვლელში არის პანდუსი. გარდა ამისა, სკოლას აქვს მოძრავი პანდუსი, ექიმის კაბინეტისა და სპორტული დარბაზით სარგებლობის ხელმისაწვდომობისათვის. სკოლას ასევე აქვს ადაპტირებული საპირფარეშო.

სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა მათ აქვთ მზაობა მიიღონ ასეთი მოსწავლე და შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის ინკლუზიურ გარემოს.

ინდიკატორი 3.5.1.4 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. დერეფნები, სკოლის ეზო, დახურული სპორტული სარბაზი, IT კაბინეტი და ბიბლიოთეკა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე მოაწყონ სხვადასხვა სპორტული, კულტურული, სახელოვნებო და შემეცნებითი ღონისძიებები. აღსანიშნავია, რომ საკლასო ოთახებში განთავსებულია მოსწავლეთა ნამუშევრები. სკოლის სპორტულ დარბაზში ეწყობა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები. სკოლის ეზოში არის გამოყოფილი სარეკრეაციო სივრცე სკამებით. სკოლის თანამშრომლები

მოსწავლეებთან ერთად ზრუნავენ აღნიშნული სივრცის გამწვანებაზე. აღნიშნული აქტივობები თავის მხრივ ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი 3.5.1.5 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შეთანხმება ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ (შენობის ფლობა);
- შენობის აზომვითი ნახაზი;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- ფოტომასალა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

კომპიუტერული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურას სკოლა იყენებს Eschool-ის ბაზაში საქმიანობის განხორციელებისას, ელექტრონული ფოსტით სარგებლობისას და ელექტრონული ჟურნალის წარმოებისას. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას, სკოლის მოსწავლეებმა და თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში არსებული კომპიუტერებისა და პროექტორების რაოდენობა საკმარისად მიაჩნიათ სასწავლო პროცესის წარმართვისათვის. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზის გაუმჯობესება - კომპიუტერების შეძენა, მეორე მეორე სემესტრის განმავლობაში. გარდა ამისა, სკოლას ადმინისტრაციული პროცესის სრულფასოვნად წარმართვისათვის აქვს მოწესრიგებული და გამართული პრინტერები, რომლებიც მუშაობს შეუფერხებლად.

ინდიკატორი 3.6.1.1 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

სკოლაში ფუნქციონირებს IT კაბინეტი, რომელშიც განთავსებულია 10მდე კომპიუტერი, თუმცა მათ შორის გამართულად მუშაობს მხოლოდ 6. თითოეულ კლასში მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, აღნიშნული კომპიუტერების რაოდენობა საკმარისად მიაჩნია როგორც სასკოლო საზოგადოებას, ისე საგნობრივ ექსპერტებს. კომპიუტერები უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით. მასწავლებლებსა და

მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ მიზნობრიობის გათვალისწინებით, შეუზღუდავად გამოიყენონ სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლას ვიზიტის პერიოდში არ წარმოუდგენია შიდა რეგულაცია (წესი) ან/და განრიგი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობასთან დაკავშირებით.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც მოიცავს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესსაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დგინდება, რომ სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორი 3.6.1.2 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ვიზუალური დათვალიერება.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი; სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც არეგულირებს საქმისწარმოების ერთიან წესებსა და პროცედურებს. აღნიშნული დოკუმენტი არ ითვალისწინებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის არსებობას. მატერიალური საქმისწარმოების

სისტემის ორგანიზებასა და დოკუმენტების დამუშავებას ახორციელებს საქმისმწარმოებელი. მისი ფუნქცია-მოვალეობები დეტალურად არის განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი მატერიალურ სარეგისტრაციო ჟურნალში აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესი არ იყო შესაბამისობაში სკოლის რეალურ პროცესებთან. მაგალითად, სკოლას აქვს მხოლოდ ორი სახის, საკადრო და საერთო ბრძანებები და შესაბამისად, აწარმოებს ორ სარეგისტრაციო ჟურნალს, მაშინ, როცა საქმისწარმოების წესით გათვალისწინებული აქვთ დამატებითი სარეგისტრაციო ჟურნალის წასმოება მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის ბრძანებებთან დაკავშირებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, სკოლას უნდა უზრუნველყოფს სკოლაში არსებული პროცესების შესაბამისი საქმისწარმოების წესის შემუშავება 2024 წლის 2 დეკემბრამდე. შესაბამისობის გეგმასთან ერთად სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა სკოლის საქმისწარმოების წესის მხოლოდ თავფურცელი, რომელიც თარიღდება 2022-2023 სასწავლო წლით. შესაბამისად, ვერ დგინდება საქმისწარმოების წესის შესაბამისობაში მოყვანა სკოლაში არსებულ პროცესებთან.

ხარვეზი: სკოლის საქმისწარმოების წესი არ არის შესაბამისობაში სკოლაში არსებულ პროცესებთან.

ინდიკატორი 3.6.2.1 არ კმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. კერძოდ, სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა ინფორმაციის დეტალურად ასახვა ხდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool). აღნიშნულ სისტემაში ხორციელდება ასევე მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის შესახებ ინფორმაციის ასახვა. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის მიღება-გავრცელებისათვის სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონული ფოსტასა და სკოლის სოციალური ქსელის გვერდს. თუმცა, სკოლაში ვიზიტის პერიოდისათვის, სკოლა არ იყენებდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, სკოლას განსაზღვრული ჰქონდა, ლიცენზირებული კომპანიისაგან დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის შეძენა და პრაქტიკაში დანერგვა 2024 წლის 11 ნოემბრამდე. ხარვეზის გამოსწორების მიზნით, სკოლამ 2024 წლის 6 ნოემბერს ხელშეკრულება გააფორმა შპს „სქულ მენეჯმენტ სისტემსთან“, სკოლის შიდა სასკოლო დოკუმენტების ელექტრონულად საწარმოებლად სისტემის ლიცენზიის დროებით სარგებლობაში მიღებასთან დაკავშირებით. შესაბამისად,

ინდიკატორი 3.6.2.2 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; ვიზიტის დროს შემოწმდა eSchool-ის ბაზა, რომელშიც ყველა სავალდებულო ველი შევსებულია სრულყოფილად. აღნიშნულ სისტემაში ხდება ასევე მოსწავლის მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის, კლასის ცვლილების განხორციელება, სახელმძღვანელოების არჩევა-აღრიცხვა, საგაკვეთილო ცხრილებისა და განრიგის შეტანა. E-School-ის სისტემაში სკოლა ასევე განსაზღვრავს პირველკლასელთა ლიმიტს, ახორციელებს საფეხურის დამღევას და მოსწავლეთა ამორიცხვას.

ინდიკატორი 3.6.2.3 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლა უზრუნველყოფს დროულ კომუნიკაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან, მათ შორის, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და სხვა.

ინდიკატორი 3.6.2.4 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის საქმისწარმოების წესი;
- საქმისმწარმოებლის შრომითი ხელშეკრულება;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- სარეგისტრაციო ჟურნალები;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას აქვს ვებ გვერდი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სასკოლო ცხოვრებისა და განხორციელებული აქტივობების შესახებ, თუმცა სკოლაში ვიზიტის პერიოდისათვის ვებ. გვერდი საჭიროებდა განახლებას, რამდენადაც ვებ. გვერდზე განთავსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, ის არ იყო განახლებული 2022-2023 სასწავლო წლის შემდეგ.
მოსწავლეთა მშობლებთან კომუნიკაცია მყარდება დამრიგებლების მეშვეობით ზეპირსიტყვიერად, სოციალური ქსელების და მობილური ტელეფონების საშუალებით. კლასის დამრიგებლებს შექმნილი აქვთ მშობელთა ჯგუფები, რომელთა მეშვეობით ამყარებენ სწრაფ კომუნიკაციას მოსწავლეებთან და მშობლებთან.
სკოლას აქვს ასევე სოციალური ქსელის გვერდი, რომელსაც აქტიურად იყენებენ სკოლის ყოველდღიური ცხოვრების, წარმატებული აქტივობებისა და საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციის განსათავსებლად.
სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის შესაბამისადაც ვებ. გვერდის განახლების ვადად განისაზღვრა 2025 წლის 16 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი. სკოლის ვებ. გვერდის შემოწმებით დგინდება, რომ სკოლამ დაიწყო აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება. ვებ. გვერდზე განთავსებულია სკოლის დოკუმენტაცია, რომლის შემუშავებაც მოხდა მიმდინარე სასწავლო წელს. სიახლეების ვებზე განთავსებულია ასევე მიმდინარე სასწავლო წელს განხორციელებული აქტივობის ამსახველი ფოტოსურათები.
რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირება ვებ. გვერდის საშუალებით შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

ინდიკატორი 3.6.3.1 მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სოციალურ ქსელში განსათავსებელი ინფორმაცია თანხმდება რექტორთან, რაც უზრუნველყოფს გადამოწმებული, სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. საჭიროების შემთხვევაში სკოლა მზადყოფნას გამოთქვამს დაადასტუროს ინფორმაციის უტყუარობა. სკოლის მიერ საჯაროდ განთავსებული ყველა ინფორმაცია არის ქართულ ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.2 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებულ უკუკავშირის იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. მოსწავლეთა მშობლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ შორის, მშობელთა უკუკავშირის გათვალისწინებით ხდება მოსწავლეთათვის წრეების შეთავაზება. ამასთანავე, სკოლა მზაობას გამოთქვამს, განიხილონ მშობელთა ნებისმიერი ინიციატივა და შესაძლებლობის ფარგლებში, გამოიყენონ მიღებული უკუკავშირი სკოლის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი 3.6.3.3 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლა სწავლებას ახორციელებს სახელმწიფო ენაზე, შესაბამისად ყველა ინფორმაცია სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია სახელმწიფო ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.4 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია

(განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლაში ვიზიტის განხორციელებისას, სკოლის ვებ გვერდი საჭიროებდა განახლებას. სკოლის ვებ. გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, მათ შორის, სტრუქტურა, სკოლის განვითარების სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, სასკოლო სასწავლო გეგმა და სხვა.. აღარ იყო მოქმედი. სტანდარტით გათვალისწინებული ზოგიერთი ინფორმაცია კი საერთოდ არ იყო განთავსებული სკოლის ვებ. გვერდზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია, რომ სკოლამ ვებ. გვერდის განახლება უნდა განახორციელოს 2025 წლის 16 დეკემბრამდე. ამასთან, სკოლის ვებ. გვერდის შემოწმებით დგინდება, რომ ხარვეზის გამოსწორების მიზნით, სკოლას უკვე დაწყებული აქვს ვებ. გვერდის განახლება.

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს ვებ. გვერდზე ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო ინფორმაციისა და დოკუმენტების განთავსება შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში.

ინდიკატორი 3.6.3.5 მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის პროფილი eschool-ის ბაზაში
- სკოლის ვებ. გვერდი;
- სკოლის სოციალური ქსელის გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. სკოლას შესაძლებელია ჰქონდეს დამატებითი დაფინანსება საპატრიარქოსაგან. უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს სკოლას სამოქმედო გეგმით გაწერილი აქვს ისეთი მიზნები, რომლებიც საჭიროებენ საკმაოდ დიდ ფინანსურ რესურსს. მათ შორის, სკოლის შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა, შენობის მდგრადობის დასკვნის მოპოვება, კომპიუტერული ბაზის გაუმჯობესება და წიგნადი ფონდის განახლება. თუმცა, სკოლის სამოქმედო გეგმაში არ არის გათვალისწინებული რა ფინანსური რესურსით გეგმავს სკოლა აქტივობების განხორციელებას. სკოლას ვიზიტის პერიოდში არ წარმოუდგენია ბიუჯეტი ან/და ფინანსური უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც დადასტურდებოდა სამოქმედო გეგმის სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფა.

სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა დოკუმენტი, რომელშიც ასახულია სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სავარაუდო ხარჯები. გარდა ამისა, სკოლა უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მიზნების შესრულებას. მაგალითისათვის, სკოლამ სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით ხელშეკრულება გააფორმა შესაბამის კომპანიასთან და გადახდილი აქვს მომსახურების საფასური. ასევე, შენობის მდგრადობის დასკვნის მისაღებად, სკოლამ უკვე გააფორმა ხელშეკრულება ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან. გარდა ამისა, სკოლაში განახლდა საბიბლიოთეკო ფონდი. აღნიშნული ინფორმაციისა და წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება.

ინდიკატორი 3.7.1.1 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლისათვის რესურსების შეძენის საჭიროებას ადგენენ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და შესაბამისად იღებენ გადაწყვეტილებას. სკოლაში ვიზიტის პერიოდში, სკოლას არ წარმოუდგენია სკოლის ბიუჯეტი, წლიური ანგარიშგება ან სხვა ფინანსური დოკუმენტაცია, რომლის შესაბამისადაც დადასტურდებოდა, რომ სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა.

თუმცა, სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა დოკუმენტი, რომელშიც ასახულია სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სავარაუდო ხარჯები. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას შრომის ანაზღაურების, კომუნალური ხარჯებისა თუ სხვადასხვა საქონლის/მომსახურების შესყიდვის თაობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ სავარაუდო ხარჯების შესახებ დოკუმენტის შემუშავებისას გათვალისწინებულია სკოლის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებული შესყიდვები და სკოლის სხვა საჭიროებები.

შესაბამისად, დასტურდება, რომ სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა.

ინდიკატორი 3.7.1.2 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, სკოლას შემუშავებული აქვს გასაჩივრების მექანიზმები და სასკოლო საზოგადოების, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერ წარმომადგენლის, კანონიერი უფლებების დაცვის წესი.

სკოლას შემუშავებული აქვს ასევე მოსწავლეთა ადაპტაციის წესი და სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეცვრების, საფეხურის დამღევის მარეგულირებელი მექანიზმები.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა პერსონალური ინფორმაცია დაცულია სკოლის ადმინისტრაციის, ასევე, მასწავლებლებისა და კლასის დამრიგებელთა მხრიდან. მშობელთა კრებების ჩატარების დროს კლასის დამრიგებელი საერთო შეხვედრაზე განიხილავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას.

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას ისახავს მიზნად სკოლის მიერ შინაგანაწესის შემუშავებაც, თუმცა, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად, რექტორს უფლება აქვს, მასწავლებელთან შეთანხმებით, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, დართოს მას ნება საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობისა (დაასწროს მშობლები გაკვეთილებს), რაც ცალსახად არღვევს სხვა მოსწავლეთა უფლებებს.

სკოლის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოდგენილ იქნა შესაბამისობის გეგმა, რომლის შესაბამისადაც, სკოლას შინაგანაწესი 2024 წლის 2 დეკემბრამდე უნდა მოეყვანა შესაბამისობაში კანონმდებლობასთან. თუმცა სკოლის მიერ მოწოდებული შინაგანაწესით არ დასტურდება ხარვეზის გამოსწორება, რამდენადაც შინაგანაწესში ისევ ვხვდებით ჩანაწერს, დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, საგაკვეთილო პროცესში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობასთან დაკავშირებით.

ხარვეზი: სკოლის შინაგანაწესში არსებული ჩანაწერი, მოსწავლის მშობლების გაკვეთილებზე დასწრებასთან დაკავშირებით არღვევს კლასში სხვა მოსწავლეთა უფლებებს.

ინდიკატორი 4.1.1.1 არ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სკოლაში მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, კლასის დამრიგებლები ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კიდევ ერთხელ აცნობენ მოსწავლეებს სკოლის შინაგანაწესს, საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებს და მოსწავლის ქცევის კოდექსს. მოსწავლის ქცევის კოდექსი გამოკრულია სკოლის დერეფანში, თვალსაჩინო ადგილას. ყველასათვის ხელმისაწვდომია ასევე სკოლის შინაგანაწესი, რომელიც განთავსებულია როგორც სკოლის კედლებზე. გარდა ამისა, დამრიგებლების მიერ ხდება შინაგანაწესის გაცნობა მშობელთა კრებებზე. სკოლის დერეფანში გამოკრულია ასევე 112-ის, სახალხო დამცველის და განათლების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები.

ინდიკატორი 4.1.1.2 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სკოლას ვიზიტის განხორციელების დროისათვის შემუშავებული ჰქონდა მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა, რომელშიც ასახული იყო მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები, ასევე ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე: სასწავლო და უქმე დღეები, ხელშეკრულების შეწყვეტის წესი, დავის გადაწყვეტის წესი, მხარეთა რეკვიზიტები და დამატებითი პირობები, თუმცა, სკოლაში ვიზიტის პერიოდისათვის, სკოლას არცერთი მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან არ ჰქონდა გაფორმებული აღნიშნული ხელშეკრულება.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც სკოლის მიერ მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან ხელშეკრულებების გაფორმების ვადად განისაზღვრა 2024 წლის 2 დეკემბრამდე პერიოდი. სკოლამ დამატებით წარმოადგინა რამდენიმე მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისად, არის მკაფიო და გამჭვირვალე. შესაბამისად,

ინდიკატორი 4.1.1.3 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთა კრებების ოქმები;
- გასაჩივრების მექანიზმები;
- სასკოლო საზოგადოების, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერ წარმომადგენლის, კანონიერი უფლებების დაცვის წესი;
- სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების, საფეხურის დაძლევის მარეგულირებელი მექანიზმები.;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი
- სადამრიგებლო პროგრამა

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნული დოკუმენტი საჭიროებს კორექტირებას, რადგან არ არის გაწერილი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების/აღიარებაზე უარის თქმის

საფუძველზე მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის დეტალური პროცედურა. კერძოდ, არ ითვალისწინებს სკოლის მიერ მოსწავლის უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების შესაბამისობის შესახებ დასკვნის მომზადების ვალდებულებას თავსებადობის დადგენის მიზნით. გარდა ამისა, დოკუმენტი არ ითვალისწინებს მოსწავლის სტატუსის შეჩერების კანონით გათვალისწინებულ საფუძვლებს და ამასთანავე, დოკუმენტით განსაზღვრული საფუძვლები არ არის შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან. კერძოდ, მოსწავლეს სტატუსი უჩერდება ზედიზედ 45 გაცდენის და არა 90 სასწავლო დღის განმავლობაში ზედიზედ გამოუცხადებლობის გამო.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, სკოლას 2024 წლის 2 დეკემბრამდე უნდა შეემუშავებინა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა კანონმდებლობასთან. თუმცა, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი არის არის კორექტირებული და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანილი.

ხარვეზი: მოსწავლეთა ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების, საფეხურის დაძლევის მარეგულირებელი წესი არ ითვალისწინებს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების/აღიარებაზე უარის თქმის საფუძველზე მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის დეტალურ პროცედურას, სტატუსის შეჩერების კანონით დადგენილ საფუძვლებსა და ასევე, დოკუმენტით განსაზღვრული საფუძვლები არ არის შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან.

ინდიკატორი 4.1.2.1 არ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; სკოლის მიერ გამოცემული ბრძანებების შემოწმების დაფუძველზე დგინდება, რომ სკოლა იცავს მათ მიერ შემუშავებულ მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესს. გარდა ამისა, სკოლაში ვიზიტისას შემოწმდა შემოწმდა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის გვერდი, რომლის საფუძველზეც დგინდება, რომ სკოლაში აღნიშნული პროცესები ხორციელდება ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის“ შესაბამისად. ასევე, კლასისა და საფეხურის დაძლევა ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 4.1.2.2 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სასკოლო კურიკულუმი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც არეგულირებს სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეებს, პირობებს, პროგრამებსა და მათ სპეციფიკას. სასკოლო კურიკულუმი საჯარო და ხელმისაწვდომია. ის გამოკრულია სკოლის შენობაში. სკოლაში გამოკრულია ასევე სკოლის შინაგანაწერი და მოსწავლის ქცევის კოდექსი.

გარდა ამისა, სკოლა საზოგადოებისათვის ინფორმაციის მისაწოდებლად აქტიურად იყენებს სოციალური ქსელის გვერდს.

ინდიკატორი 4.1.2.3 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლის პერსონალის მიერ მიწოდებული ინფორმაცია განახლებული და არადისკრიმინაციულია. კლასის დამრიგებლები სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას სერვისების, დაგეგმილი შიდა სასკოლო და ეროვნული ოლიმპიადების, სპორტული აქტივობების, ღონისძიებების, განსახორციელებელი პროექტების შესახებ მოსწავლეებსა და მშობლებს სოციალური ქსელითა თუ პირისპირ, საინფორმაციო შეხვედრებზე. სკოლის მიერ არადისკრიმინაციული სერვისებისა და პროგრამების შეთავაზება ხდება მუდმივად. სკოლაში განსაზღვრულია მეორე უცხოური ენის არჩევის წესი, რომლის თანახმად, გადაწყვეტილების მიღება ხდება მშობელთა კრებაზე, სკოლის რესურსების გათვალისწინებით. სკოლა მშობლებს ასარჩევად სთავაზობს მინიმუმ ორ ენას. მშობელთა აზრის გათვალისწინებით ფორმდება შესაბამისი ოქმი, რაზეც ხელს აწერს მეხუთე კლასის მოსწავლეთა ყველა მშობელი. შესაბამისად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სკოლისა და მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორი 4.1.2.4 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო კურიკულუმი;
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- მოსწავლეთა მიერ საფეხურის დაძლევის, ჩარიცხვისა და ამორიცხვის შესახებ ბრძანებები;
- მშობელთა კრების ოქმი;

- სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
- ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომლის მიზანია სკოლამ ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გაადვილოს სასკოლო

პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. წესში აღწერილია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები. დარეგულირებული სკოლის პირველ კლასში ჩარიცხული მოსწავლეების, მობილობით გადმოსული მოსწავლეების, სსსმ პირების ადაპტაცია სასკოლო გარემოსთან.

საყურადღებოა, რომ სკოლა აკვირდება მოსწავლის ადაპტაციის პროცესს და განსაზღვრული აქვს წარმატებული ადაპტაციის ნიშნები. კერძოდ, თუ მოსწავლე მხიარული, მშვიდი და ხალისიანია, სწრაფად პოულობს მეგობრებს თანაკლასელებს შორის, სიამოვნებს მასწავლებლებსა და თანაკლასელებზე საუბარი, დაუმაბავად ასრულებს მასწავლებლის მითითებებს და ადეკვატურად რეაგირებს შენიშვნებზე, სიამოვნებს სკოლაში წასვლა და სკოლისათვის მზადების პროცესი, მოსწონს სასკოლო ცხოვრების წესი, დაუმაბავად ასრულებს მასწავლებლის მითითებებს და ადეკვატურად რეაგირებს შენიშვნებზე, არ აქვს სკოლასთან, მასწავლებელსა და თანაკლასელებთან დაკავშირებული შიშები. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, აღნიშნული წესით სკოლას განსაზღვრული აქვს ასევე სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციის საკითხიც.

ინდიკატორი 4.2.1.1 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სწავლის დაწყებისას სკოლაში მოსწავლეებსა და მშობლებს ხვდებათ სადღესასწაულო გარემო, საზეიმოდ მორთული ეზო და საკლასო ოთახები. აქტიურად ხორციელდება საინფორმაციო შეხვედრები მშობლებთან, სიახლეების გაცნობა და ახლად გადმოსული მოსწავლეებისათვის სასკოლო გარემოს გაცნობა. მათ მშობლებს კლასის დამრიგებლები აცნობენ სკოლის შინაგანაწესსა და შიდა სასკოლო რეგულაციებს.

ინდიკატორი 4.2.1.2 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

სკოლის თანამშრომლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა მოსწავლეებს აქვთ ადმინისტრაციის მხრიდან სრული ინფორმირება და მხარდაჭერა, საჭიროების შემთხვევაში მიიღონ მასწავლებლის კონსულტაცია, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით. გარდა ამისა, სასკოლო კურიკულუმში მოცემულია მასწავლებელთა მხრიდან კონსულტაციების გაწევის ვალდებულება საშემოდგომო გამოცდების დანიშვნის დროს.

გარდა ამისა, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის ინფორმაციის მიწოდებას გაცდენების შემთხვევაში ექსტერნის გამოცდის დანიშვნის შესაძლებლობისა და სტატუსის შეჩერების შესახებ. გარდა ამისა, სკოლა მათ აწვდის ინფორმაციას შინ სწავლების უფლების შესაძლებლობის შესახებ.

სკოლის მოსწავლეებთან და თანამშრომლებთან გასაუბრების დროს მათ ასევე განაცხადეს, რომ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით ხშირად მიმართავენ ინდივიდუალურ მუშაობას მოსწავლეებთან გაკვეთილების დასრულების შემდეგ.

ინდიკატორი 4.2.1.3 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

მოსწავლისათვის კანონმდებლობითა დადგენილი უფლებების რეალიზებისთვის, სკოლა ახორციელებს სრულყოფილ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. მათ შორის, პირველკლასელთა რეგისტრაციის გამოცხადებისთანავე ინფორმაციას ანთავსებს როგორც სოციალური ქსელში, ასევე, სკოლაში საჯარო სივრცეში, რათა მშობლებს შესაძლებლობა მიეცეთ კანონით დადგენილ ვადებში შეძლონ მოსწავლეთა სკოლაში რეგისტრაცია.

სკოლა მზადყოფნას გამოთქვამს, გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მომავალშიც გაუწიოს მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების ფარგლებში.

ინდიკატორი 4.2.1.4 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ფორმალურ განათლებასთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობს არაფორმალურ განათლებას. სკოლას 2024-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქვს არაფორმალური განათლების მხარდაჭერა. აღნიშნული მიზნით სკოლა აპირებს განახორციელოს სახვადასხვა პროექტები და აქტივობები, რომელიც გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას

სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ სკოლას მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები. შესაძლებლობის ფარგლებში სკოლა ცდილობს მუდმივად წახალისოს არაფორმალური აქტივობები. მაგალითად, სკოლის ადმინისტრაციის ხელშეწყობითა და წახალისებით, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები სკოლის ეზოში დასასვენებელი/სარეკრეაციო სივრცის მოწყობისა და მოწესრიგების საკითხებში.

გარდა ამისა, მოსწავლეებმა გასაუბრებისას მოიყვანეს ასევე სკოლის მხრიდან მათი ინიციატივის მხარდაჭერის მაგალითი. კერძოდ, სკოლის მოსწავლეებმა მიმართეს ადმინისტრაციას, მათი ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვის მოწყობის ორგანიზების მიზნით. აღნიშნული ღონისძიება იყო საქველმოქმედო ხასიათის და მასში აქტიურად ჩაერთვნენ როგორც სკოლის თანამშრომლები, ისე მოსწავლეები და მათი მშობლები.

ინდიკატორი 4.2.1.5 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა მშობლების უკუკავშირის საფუძველზე განხორციელოს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესება. მაგალითისათვის, მოსწავლეთა მშობლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ შორის, მშობელთა უკუკავშირის გათვალისწინებით ხდება მოსწავლეთათვის წრეების შეთავაზება. ამასთანავე, სკოლა მზაობას გამოთქვამს, განიხილონ მშობელთა ნებისმიერი ინიციატივა და შესაძლებლობის ფარგლებში, გამოიყენონ მიღებული უკუკავშირი მოსწავლეთა მომსახურების გასაუმჯობესებლად.

სკოლა მოსწავლეთა საჭიროებებს და ინტერესებს ძირითადად იკვლევს ვერბალურად და ამის შემდგომ განსაზღვრავს საჭიროებებს. შესაბამისად, აღნიშნულის დამადასტურებელი მასალა ვერ იქნა წარმოდგენილი.

რჩევა: სკოლამ მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების კვლევის პროცესი გახადოს სტრუქტურირებული - შეიმუშავოს კითხვარები ან/და უკუკავშირის სხვა საშუალებები, რომლებიც პროცესებს უფრო ეფექტურს გახდის.

ინდიკატორი 4.2.1.6 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო კურიკულუმი
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- მშობელთა კრების ოქმი

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობას სკოლა უზრუნველყოფს პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების პროგრამების შესახებ მოსწავლეები ბუკლეტებისა და ვიდეორგოლების საშუალებით ინფორმირებით. გარდა ამისა, მოსწავლეებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობის მიზნით, კლასის დამრიგებელი, სადამრიგებლო საათის ფარგლებში განიხილავს პროფესიის შერჩევასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ამასთანავე, სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, თუ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლე, პირველ ნომრად აირჩევს აღნიშნულ უნივერსიტეტს, მას გაუნახევრდება სწავლის საფასური. გარდა ამისა, სკოლას აქვს რესურსი გააკეთოს მინანქრის სასწავლო კურსი, რამდენადაც სკოლა ფლობს აღნიშნული კურსისათვის საჭირო ყველა დანადგარსა თუ ძირითად საჭირო მასალას. გარდა ამისა, სკოლა გეგმავს საკუთარ მოსწავლეებს შესთავაზოს ჭრა-კერვისა და დიზაინის კურსები. ამ ეტაპზე, ორივე კურსისათვის ეძებს შესაბამის კადრს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება მივიჩნიოთ, რომ სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის.

ინდიკატორი 4.2.2.1 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, აცნობს ინფორმაციას გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ინიცირებულ სიახლეებზე, კერძოდ ღია კარის დღეებთან დაკავშირებით, საგამოცდო ფორმატის ცვლილებებსა და ახალ პროგრამებთან დაკავშირებით. ასევე მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას პროფესიულ სასწავლებლებზე. გარდა ამისა, სკოლა ხელს უწყობს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელსა თუ პროფესიულ სასწავლებელს, მოაწყონ ღია კარის დღეები სკოლაში და გააკეთონ პრეზენტაციები სკოლის მოსწავლეებისთვის. ამასთანავე, საბაზო და საშუალო საფეხურის დამრიგებლები ატარებენ კლასის საათებს პროფესიული ორიენტაციის ხელშესაწყობად.

რჩევა: კლასის დამრიგებლებმა სადამრიგებლო პროგრამაში გაწერონ კლასის საათები და დაგეგმონ მეტი აქტივობები, შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 4.2.2.2 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს სკოლის მიერ შეთავაზებული სასწავლო პროგრამების პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას, მუდმივი განვითარების მიზნით. სასწავლო წლის დასრულებისთანავე განვლილი სასწავლო წლის შედეგების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, ხდება მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმისათვის მუშაობის დაწყება.

გარდა სასწავლო პროგრამებისა, სკოლა ახდენს სადამრიგებლო გეგმების მონიტორინგსაც, რაც ეფუძნება სკოლის დირექციისა და მასწავლებლების მიერ მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, კათედრების/დამრიგებლების ანგარიშგებას და ამ ინფორმაციის გამოყენებას სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა სკოლაში ძირითადად დამრიგებლების მიერ ჩატარებულ კლასის საათებს ეყრდნობა, მნიშვნელოვანია სადამრიგებლო გეგმების მუდმივი შეფასება, მისი გაუმჯობესების მიზნით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში მიღებულ ცოდნას მოსწავლეები წარმატებით იყენებენ უმაღლეს სასწავლებლებში ჩასაბარებლად. ამის დასტურად სკოლა ხაზს უსვამთ ფაქტს, რომ მათი კურსდამთავრებულები კერძო რეპეტიტორებთან დამატებითი მომზადების გარეშე ირიცხებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ინდიკატორი 4.2.2.3 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- კავკასიის უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, სასკოლო კურიკულუმში გაწერილია ინკლუზიური განათლების მექანიზმები. სკოლის დირექცია და მასწავლებლები იცნობენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს სსსმ მოსწავლესთან მიმართებით და ფლობენ ინფორმაციას სსსმ მოსწავლის სტატუსის მინიჭების და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურების შესახებ. გარდა ამისა, სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლეთა ადაპტაციის წესი ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმებს.

ინდიკატორი 4.2.3.1 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

სკოლაში ვიზიტის დროს სკოლაში არ ირიცხებოდა სსსმ მოსწავლე, თუმცა სასკოლო საზოგადოება გამოხატავს მზაობას სსსმ მოსწავლის წინსვლისა და მხარდაჭერისთვის. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სსსმ მოსწავლის ყოლის შემთხვევაში ისგ ჯგუფის შექმნის რეგულაცია, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და თანამშრომლობით სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერას.

ინდიკატორი 4.2.3.2 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია.;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელი მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს გახანგრძლივებულ სწავლებას I-IV კლასებში. ასევე, აქვთ ქართული ცეკვის, ხატვისა და ხალხური სიმღერების წრეები. აღნიშნული წრეები გათვალისწინებულია სკოლის სასკოლო კურიკულუმით.

სკოლაში ფუნქციონირებს ასევე ბუფეტი. სკოლა მოსწავლეებსა და თანამშრომლებს ყოველდღიურად უზრუნველყოფს უფასო ფუნთუშებით.

ინდიკატორი 4.2.4.1 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას, როგორცაა გახანგრძლივებული სწავლება, ხალხური სიმღერების გუნდი, ქართული ცეკვისა და ხატვის წრეები. აღნიშნული მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით. ბუნებრივია აღნიშნული მომსახურების მიღება ემსახურება მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობას.

ინდიკატორი 4.2.4.2 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

სკოლის ადმინისტრაციასა და მოსწავლეთა მშობლებთან გასაუბრებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგების გათვალისწინებით, დგინდება, რომ სკოლაში არსებული ყველა მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესების დაცვას.

ინდიკატორი 4.2.4.3 აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმი;
- ფუნთუშების შეწყიდვის დამადატურებელი დოკუმენტები;
- თანამშრომლებთან და მოსწავლეთა მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
--	--

II. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმი;
- სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- 2023-2024 სასწავლო წლის კათედრის სემესტრული ანგარიში;
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სადამრიგებლო პროგრამები და კრების ოქმები
- კათედრის სხდომის ოქმები
- პედსაბჭოს სხდომის ოქმები

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
რჩევა:
ბუნებისმეტყველება - დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველებაში სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები გაწერილია
 სავალდებულო თემებით და შესაბამისი შუალედური სასწავლო მიზნებით, რომლებიც საჭიროებს მცირეოდენ დახვეწას.
 კერძოდ: თითოეულ თემაში შეძლებისდაგვარად დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - თითოეული თემის ფარგლებში სრულად უნდა დამუშავდეს საგნობრივი სტანდარტის ყველა შედეგი, რომლებიც დაკავშირებულია სამიზნე ცნებებს. აქედან გამომდინარე, საგან „მე და საზოგადოების“ მე-3 კლასის კურიკულუმში თემა: „ჩემი ოჯახი“ დამუშავდეს სამიზნე ცნება პიროვნება“, თემა: „სკოლა, მეგობრები და თანატოლები“ - პიროვნება და ცვლილება, თემა: „გარემო, რომელშიც ვცხოვრობ“ - ინსტიტუცია და ცვლილება;

ჩვენი საქართველოს კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტებში თითოეული თემის ფარგლებში სრულად დაიფაროს სამიზნე ცნებები შესაბამისი საკითხების ჩაშლით;

დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში თითოეულ თემას განესაზღვროს საათების რაოდენობა.

ფიზიკური აღზრდა - პედაგოგმა სამომავლოთ შეუძლავს სკოლაში არსებული რესურსიდან გამომდინარე გაშალოს სხვადასხვა თემებიც რომელიც გამრავალფეროვნებს სასწავლო პროცესს სამომავლოდ.

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან საგნობრივი კურიკულუმი ყოველთვის არ წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და არ მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს, მაგალითად: სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი მე-4 კლასის კურიკულუმი, თუმცა არგუმენტირებული პოზიციით შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, კერძოდ 21.11.2024წ. წარმოადგინა აღნიშნული კურიკულუმი, შესაბამისად,

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;

რჩევა:

ბუნებისმეტყველება - დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველებაში სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები გაწერილია სავალდებულო თემებით და შესაბამისი შუალედური სასწავლო მიზნებით, რომლებიც საჭიროებს მცირეოდენ დახვეწას.

კერძოდ: თითოეულ თემაში შეძლებისდაგვარად დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.

ბუნებისმეტყველება - მასწავლებლებთან საუბრისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ ბუნებისმეტყველების პედაგოგებს შუალედური სასწავლო მიზნებით მუშაობის მწირი გამოცდილება აქვთ. ამ მხრივ სკოლა საჭიროებს მეტ პრაქტიკულ მუშაობას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები -ჩვენი საქართველოს კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტებში თითოეული თემის ფარგლებში სრულად დაიფაროს სამიზნე ცნებები შესაბამისი საკითხების ჩაშლით;

ფიზიკური აღზრდა - პედაგოგმა სამომავლოთ შეუძლა სკოლაში არსებული რესურსიდან გამომდინარე გაშალოს სხვადასხვა თემებიც რომელიც გამრავალფენოვნებს სასწავლო პროცესს სამომავლოდ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

- კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

- სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;

რჩევა:

ბუნებისმეტყველება - სასურველია შემაჯამებელი ან/და სადიაგნოსტიკო დავალებების პირობების შექმნისას, აგრეთვე შუალედური სასწავლო მიზნის ფორმატის კომპლექსურ დავალების/კომპლექსური ბუნების დავალების, ან სასწავლო პროექტების შეთავაზების დროს, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან ინკლუზიური მიდგომები.

უცხოური ენები - საგნობრივ კურიკულუმებში არ ჩანდა დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები, კათედრის წევრებთან გასაუბრებამ გვიჩვენა, რომ პედაგოგები მეტ-ნაკლებად იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, თუმცა გარდა ზეპირი ინფორმაციისა, ამის დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება (თუნდაც რეფლექსიის სახით) ვერ წარმოგვიდგინეს. თუმცა არგუმენტირებული პოზიციით სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 21.11.2024წ. სკოლამ წარმოადგინა დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

- მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

რჩევა:

ბუნებისმეტყველება -სასურველია შეფასების სისტემის უფრო დახვეწა. (მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შემოტანა). ასევე როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გაკეთდეს თითოეული თემის ფარგლებში და მიმართული იყოს სამიზნე ცნებებების გააზრება/დამუშავებაზე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - განმავითარებელი შეფასების წარმოებისას, სამიზნე ცოდნის შეფასების დროს, სასურველია შეფასების რუბრიკას ახლდეს გრაფა აღწერილობისა და კომენტარისთვის.

ესთეტიკა - მუსიკას-შემაჯამებელში და შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ უნდა ჩანდეს რომელი ცნება და ქვეცნებები მუშავდება თემატური ბლოკის ფარგლებში და რამდენად გაიყვანს მოსწავლეს ასეთი ტიპის შემაჯამებელი დავალება სტანდარტის მოცემულ მიზანზე.

ფიზიკური აღზრდა - სასურველია, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შეიმუშაონ კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმი;
- სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კომპლექსური დავალებების ნიმუში;
- კომპლექსური დავალების ბარათები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- საგნობრივი კურიკულუმები;
- მოსწავლეების მიერ შექმნილი დავალების პრეზენტაციები (ფოტოები);
- 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- ვერიფიკაციის მექანიზმი
- ვერიფიკაციის გეგმა
- სასკოლო და კლასაგარეშე ღონისძიებები (ფოტოები; მასწავლებლის რეფლექსია);
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- 2023-2024 სასწავლო წლის კათედრის სემესტრული ანგარიში;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
- კათედრის სხდომის ოქმები

- პედსაბჭოს სხდომის ოქმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;

რჩევა:

ბუნებისმეტყველება - დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველებაში სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა 1-6 კლასების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ასევე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალების ანალიზის რუბრიკა, სასურველი იქნებოდა წარმოდგენილი ყოფილიყო განხორციელებული აქტივობების

დამადასტურებელი დოკუმენტები ან აქტივობები რომლებიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენდა რამდენად შესაბამისობაშია სასწავლო პროცესი კურიკულუმთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო) წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც ორიენტირებულია ცალკეული აქტივობების (დისკუსია, ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაციის შეფასების და სხვა) შეფასებაზე, მაგრამ არ მიემართება გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს.

განმსაზღვრელი შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებდა რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. შესაბამისად, საგანისთვის „ჩვენი საქართველო“ შემუშავდეს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ყველა თემაში, თემის ფარგლებში შედეგების მიღწევების ინდიკატორებზე დაყრდნობით. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა უკვე შემუშავებული დოკუმენტაცია.

უცხოური ენები- სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი უცხოურ ენაში შეფასების ინსტრუმენტები, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ვერიფიკაციის მექანიზმს. ჩვენ დამატებით მოვითხოვეთ ცალკეული დოკუმენტები, თუმცა წარმოდგენილი შეფასების სქემა ვერ აფასებს ზუსტად იმას, რისი შეფასებაც სჭირდება პედაგოგს კონკრეტულ შემთხვევაში. შესაბამისად, შეფასება არ არის ვალიდური. იმის გამო, რომ არ არის მკაფიოდ გაწერილი გასაზომი კრიტერიუმები, შეფასება ვერ იქნება სანდო. საჭიროა უცხოური ენების კათედრამ შეიმუშავოს კონკრეტულ თემებზე/საკითხებზე მორგებული შეფასების სქემები/რუბრიკები, რათა უზრუნველყოფილი იყოს შეფასების სისტემის ვალიდურობა და სანდოობა. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციით წარმოადგინა შესაბამისი შეფასების სქემები.

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუში არ არის ვალიდური, რადგან ის განკუთვნილია მე-8 კლასისთვის, თემაზე „ორუცნობიან განტოლებათა სისტემა“, ხოლო კრიტერიუმები ჩაშლილია მე-6 კლასისთვის, თემაზე: „რიცხვები; მოქმედებები რიცხვებზე“, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 21.11.2024წ. უზრუნველყო ამ საგნობრივი კურიკულუმების რეკომენდაციის შესაბამისად შემუშავება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმი;
- სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კომპლექსური დავალებების ნიმუში;
- კომპლექსური დავალების ბარათები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- საგნობრივი კურიკულუმები;
- მოსწავლეების მიერ შექმნილი დავალების პრეზენტაციები (ფოტოები);
- ვერიფიკაციის მექანიზმი
- ვერიფიკაციის გეგმა
- სასკოლო და კლასაგარეშე ღონისძიებები (ფოტოები; მასწავლებლის რეფლექსია);
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- 2023-2024 სასწავლო წლის კათედრის სემესტრული ანგარიში;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- პროექტები სამოქალაქო განათლებაში;
- კათედრის სხდომის ოქმები
- პედსაბჭოს სხდომის ოქმები
- მასწავლებლის რეფლექსიები განხორციელებული პროექტებისა და კომპლექსური დავალებების შესახებ
- სწავლის პროცესზე დაკვირვების ფორმის ნიმუშები

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;
2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;
3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.
4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;

უცხოური ენები- კურიკულუმებში პედაგოგებს მითითებული აქვთ სხვადასხვა რესურსების ბმულები, ზოგიერთი მათგანი არ არის მისაწვდომი (არ იხსნება), არ არის წარმოდგენილი ამ რესურსების ვალიდაციის წყარო. საჭიროა გაკვეთილებზე, გარდა ძირითადი სასწავლო რესურსისა, აქტიურად იყოს გამოყენებული დამხმარე რესურსიც, რომელიც წინასწარ იქნება შემოწმებული (ვალიდირებული) კათედრის წევრების ან შესაბამისი ჯგუფის მიერ, აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლამ უზრუნველყო შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 21.11.2024წ. შესაბამისი დოკუმენტაციის შემუშავება.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.
რჩევა:

ესთეტიკა - სკოლას ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის შედგენა/განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, მაგრამ დაწყებით საფეხურზე როგორც აღმოჩნდა შედის დაწყებითების მასწავლებელი და ამიტომ სახვით და გამოყენებით ხელოვნების თითოეულ მასწავლებელს დაწყებით საფეხურზე დადასტურებული უნდა ჰქონდეს საგნობრივი კომპეტენცია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმი;
- სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კომპლექსური დავალებების ნიმუში;
- კომპლექსური დავალების ბარათები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- საგნობრივი კურიკულუმები;
- მოსწავლეების მიერ შექმნილი დავალების პრეზენტაციები (ფოტოები);
- 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- ვერიფიკაციის მექანიზმი
- ვერიფიკაციის გეგმა
- სასკოლო და კლასაგარეშე ღონისძიებები (ფოტოები; მასწავლებლის რეფლექსია);
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- 2023-2024 სასწავლო წლის კათედრის სემესტრული ანგარიში;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- პროექტები სამოქალაქო განათლებაში;
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- პროექტები
- სადამრიგებლო პროგრამები და კრების ოქმები
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
- კათედრის სხდომის ოქმები
- პედსაბჭოს სხდომის ოქმები
- მასწავლებლის რეფლექსიები განხორციელებული პროექტებისა და კომპლექსური დავალებების შესახებ

- სწავლის პროცესზე დაკვირვების ფორმის ნიმუშები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტიურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმი;
- სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმი;
- სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- 2023-2024 სასწავლო წლის კათედრის სემესტრული ანგარიში;

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სადამრიგებლო პროგრამები და კრების ოქმები
- კათედრის სხდომის ოქმები
- პედსაბჭოს სხდომის ოქმები

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

რჩევა:

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საბაზო საფეხურის მოქალაქეობის კურიკულუმებში გამოიკვეთოს შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი ტიპის დავალებებით, შესაბამისი კონტექსტ და შედარების მაგალითებით. სასურველია, კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ლაკონურად, მაგრამ ნათლად გამოიკვეთოს შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით რა პროდუქტს ქმნის მოსწავლე. მაგალითად: „საგაზეთო სტატია/ესე აქტიური მოქალაქეობის მნიშვნელობაზე“ და არა „ბუკლეტის შექმნა“ ან „პოსტერის შექმნა“;

სპორტი - პედაგოგმა სამომავლოთ შეუძლას სკოლაში არსებული რესურსიდან გამომდინარე გაშალოს სხვადასხვა თემებიც რომელიც გამრავალფეროვნებს სასწავლო პროცეს სამომავლოდ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;

რჩევა:

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასურველია საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში თითოეულ თემას განესაზღვროს საათების რაოდენობა.

საბაზო საფეხურის მოქალაქეობის კურიკულუმებში გამოიკვეთოს შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი ტიპის დავალებებით, შესაბამისი კონტექსტ და შედარების მაგალითებით. სასურველია, კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ლაკონურად, მაგრამ ნათლად გამოიკვეთოს შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით რა პროდუქტს ქმნის მოსწავლე. მაგალითად: „საგაზეთო სტატია/ესე აქტიური მოქალაქეობის მნიშვნელობაზე“ და არა „ბუკლეტის შექმნა“ ან „პოსტერის შექმნა“;

სპორტი - პედაგოგმა სამომავლოთ შეუძლას სკოლაში არსებული რესურსიდან გამომდინარე გაშალოს სხვადასხვა თემებიც რომელიც გამრავალფეროვნებს სასწავლო პროცეს სამომავლოდ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

რჩევა:

საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აკმაყოფილებს მინიმალურ სტანდარტებს სასურველია საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიებში იყოს საშუალება ყველა მოსწავლისთვის ინდივიდუალური/ჯგუფური სამუშაოების ხელმისაწვდომობის. ასევე ლაბორატორია შეივსოს ახალი რეაქტივებით და სადემონსტრაციო ექსპერიმენტებისთვის საჭირო რესურსებით

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;

რჩევა:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -სასურველია აქტივობები გაიწეროს იმგვარად, რომ მიმართული იყოს და უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევა. ასევე სასურველია, შემაჯამებელი ან/და სადიაგნოსტიკო დავალებების პირობების შექმნისას, აგრეთვე შუალედური სასწავლო მიზნის ფორმატი. კომპლექსურ დავალების/კომპლექსური ბუნების დავალების, ან სასწავლო პროექტების შეთავაზების დროს, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან ინკლუზიური მიდგომები.

უცხოური ენები - საგნობრივ კურიკულუმებში არ ჩანდა დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები, კათედრის წევრებთან გასაუბრებამ გვიჩვენა, რომ პედაგოგები მეტ-ნაკლებად იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, თუმცა გარდა ზეპირი ინფორმაციისა, ამის დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება (თუნდაც რეფლექსიის სახით) ვერ წარმოგვიდგინეს. თუმცა

არგუმენტირებული პოზიციით შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 21.11.2024წ. უზრუნველყო ამ რეკომენდაციის შესრულება წარმოადგინეს დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

რჩევა:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასურველია შეფასების სისტემის უფრო დახვეწა, (მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შემოტანა), რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად აუცილებელია არამარტო განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების აქტიურად გამოყენება. ასევე მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებისაც. სამართლიანობისა და ობიექტურობის თვალსაზრისით მოსწავლეები შეაფასებენ ერთმანეთს და იმსჯელებენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე. მოსწავლეების ჩართულობა შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში გაზრდის სანდოობას და გამჭვირვალობის დასტური იქნება როცა მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ გაეცნობიან დავალების შეფასების რუბრიკებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - განმავითარებელი შეფასების წარმოებისას, სამიზნე ცოდნის შეფასების დროს, სასურველია შეფასების რუბრიკას ახლდეს გრაფა აღწერილობისა და კომენტარისთვის.

სპორტი - სასურველია, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შეიმუშაონ კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმი;
- სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კომპლექსური დავალებების ნიმუში;
- კომპლექსური დავალების ბარათები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- საგნობრივი კურიკულუმები;

- მოსწავლეების მიერ შექმნილი დავალების პრეზენტაციები (ფოტოები);
- 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- ვერიფიკაციის მექანიზმი
- ვერიფიკაციის გეგმა
- სასკოლო და კლასაგარეშე ღონისძიებები (ფოტოები; მასწავლებლის რეფლექსია);
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- 2023-2024 სასწავლო წლის კათედრის სემესტრული ანგარიში;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
- კათედრის სხდომის ოქმები
- პედსაბჭოს სხდომის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;

რჩევა:

საბაზო საფეხურზე **საბუნებისმეტყველო** საგნებში სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები გაწერილია სავალდებულო თემებით და შესაბამისი შუალედური სასწავლო მიზნებით, რომლებიც საჭიროებს მცირეოდენ დახვეწას (თითოეულ თემაში უნდა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება შეძლებისდაგვარად.).

წარმოდგენილია ასევე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალების ანალიზის რუბრიკა, თუმცა სასურველი იქნებოდა წარმოდგენილი ყოფილიყო განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები, რომლებიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენდა რამდენად შესაბამისობაშია სასწავლო პროცესი კურიკულუმთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით (ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია) წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც ორიენტირებულია ცალკეული აქტივობების (დისკუსია, ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაციის შეფასების და სხვა) შეფასებაზე, მაგრამ არ მიემართება გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს.

განმსაზღვრელი შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. შესაბამისად, საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალ საგნებში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები იქმნება ყველა თემაში და შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 21.11.2024წ. აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების დამამტკიცებელი დოკუმენტაცია.

უცხოური ენები - სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი უცხოურ ენაში შეფასების ინსტრუმენტები, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ვერიფიკაციის მექანიზმს. ჩვენ დამატებით მოვითხოვეთ ცალკეული დოკუმენტები, თუმცა წარმოდგენილი შეფასების სქემა ვერ

აფასებს ზუსტად იმას, რისი შეფასებაც სჭირდება პედაგოგს კონკრეტულ შემთხვევაში. შესაბამისად, შეფასება არ არის ვალიდური. იმის გამო, რომ არ არის მკაფიოდ გაწერილი გასაზომი კრიტერიუმები, შეფასება ვერ იქნება სანდო. საჭიროა უცხოური ენების კათედრამ შეიმუშავოს კონკრეტულ თემებზე/საკითხებზე მორგებული შეფასების სქემები/რუბრიკები, რათა უზრუნველყოფილი იყოს შეფასების სისტემის ვალიდურობა და სანდოობა. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 21.11.2024წ. აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების დამამტკიცებელი დოკუმენტაცია.

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუში არ არის ვალიდური, რადგან ის განკუთვნილია მე-8 კლასისთვის, თემაზე „ორუცნობიან განტოლებათა სისტემა“, ხოლო კრიტერიუმები ჩამოყალიბებულია მე-6 კლასისთვის, თემაზე: „რიცხვები და მოქმედებები რიცხვებზე“, სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით უზრუნველყო შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 21.11.2024წ. აღნიშნული რეკომენდაციების შესრულება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმი;
- სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კომპლექსური დავალებების ნიმუში;
- კომპლექსური დავალების ბარათები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- საგნობრივი კურიკულუმები;
- მოსწავლეების მიერ შექმნილი დავალების პრეზენტაციები (ფოტოები);
- ვერიფიკაციის მექანიზმი

- ვერიფიკაციის გეგმა
- სასკოლო და კლასაგარეშე ღონისძიებები (ფოტოები; მასწავლებლის რეფლექსია);
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- 2023-2024 სასწავლო წლის კათედრის სემესტრული ანგარიში;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- პროექტები სამოქალაქო განათლებაში;
- კათედრის სხდომის ოქმები
- პედსაბჭოს სხდომის ოქმები
- მასწავლებლის რეფლექსიები განხორციელებული პროექტებისა და კომპლექსური დავალებების შესახებ
- სწავლის პროცესზე დაკვირვების ფორმის ნიმუშები

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;
